№ 123

ხუთშაბათი, 21 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 123

ხუთშაბათი, 21 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე [illegible] კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

რედაქცია ამით აუწყ-ბს თავისს ხელის მომწერლ-ბს, რომ ვ-საც ამ თვის ოცამდის ხვედრი ფული არ შემოუტანია, 21-დან გაზეთის გზავნა მოესპობა.

პარიზში უეცრად გარდაიცვალა

იოსებ ვასილის ძე მოზდოკლიშვილი,

რასაც ქვრივი **ელისაბედ დავითის ასული მოზდოკლიშვილისა** დაი გარდაცვალებულისა **ანნა ვასილის ასული როგოვსკაია,** დისწულები: **ანნა და ვასილ როგოვსკოები,** ძმა **გრიგოლ ვასილის ძე მოზდოკლიშვილი** და რძალი **ეკატერინე ვასილის ასული მოზდოკლიშვილისა** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. განსვენებულს მოასვენებენ პარიზიდან კავკავში. დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული

(1—1)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი,** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.

(24—6)

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა

გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და იყიდება „ივერიის" რედაქციის კანტორასა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

მ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულ გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ი ვ ა ნ ე პ. ა ხ ა ლ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონნის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ვაჩნაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ერობა ჩვენში

ყირიმის ომის დასრულების შემდეგ რუსეთში დადგა, ეგრედ წოდებულ, „რეფორმების ეპოქა". მანამდის რუსეთი ბატონ-ყმობის ქვეყანა იყო. ხოლო ბატონ-ყმობის არსებობა ეკონომიურად ნიშნავს ნატურალურ მეურნეობის არსებობას, კარჩაკეტილობასა და მრეწველობის არა თუ განუვითარებლობას, არამედ ისეთ პირობების არსებობას, რომელნიც შეუძლებლად ხდიან მის განვითარებას.

ეს ცხადად გამოაშკარავა ყირიმის ომმა. ინგლისელებს თავის ხომალდების შეწევნით უფრო ადრე მიჰქონდათ სურსათი და საომარი მასალა სევასტოპოლში, ვიდრე რუსებს. რატომ? იმიტომ, რომ გლეხი მიწაზე იყო მიკრული, იმას მისვლა-მოსვლა, თავისუფლად თავისი შრომის გაყიდვა არ შეეძლო; იმიტომ მრეწველობის აღორძინებაც შეუძლებელი იყო, გზები არ არსებობდა. ერთის სიტყვით, ომმა აღმოაჩინა, რომ შეუძლებელი იყო ძველის წესით არსებობა.

დაიწყო „რეფორმები".

სხვათა შორის, შემოიღეს ერობა. რას ნიშნავს ეს დაწესებულება?—ადგილობრივ თვითმართველობას. ადგილობრივის საქმეების გაძღოლა მიენდო ადგილობრივ მცხოვრებთ. შესდგა სამაზრო და საგუბერნიო ერობები. ამნაირად, რუსეთის თვითმპყრობელ იმპერიაში გაჩნდა ადგილობრივი თვითმართველობა.

რასაკვირველია, ეს ფაქტი თავიდანვე თავის არსებობაში წინააღმდეგობას შეიცავდა. თუმცა რუსეთის ერობა აგებული იყო ცენზზე და, მაშასადამე, მასში მხოლოდ შედარებით შეძლებულები იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ იგი მაინც საზოგადოებრივი დაწესებულება იყო და მცირედის სახალხო წარმომადგენლობის როლს ასრულებდა.

ერობა, როგორც სოციალურის ცხოვრების გავლენა, რა თქმა უნდა, უცვლელი ვერ დარჩებოდა. იმასაც ცხოვრების მიმდინარეობასთან ერთად უნდა განეცადა[illegible] რო[illegible] ევოლუცია. და, აი, სწორედ, რამდენად[illegible]ობა ნამდვილ მოქმედების გზას დაადგა, [illegible] მისი წინ-სვლა შეუძლებელი შეიქმნა [illegible] პირობებში. შეუძლებელი შეიქმნა [illegible]კრატიულ სისტემაში ადგილობრივ თვითმ[illegible]ლობის მოთავსება. ამიტომაც ერობა ფაქ[illegible] თავიდანვე შეკრული იყო, მან ვერ[illegible] თავის არსებობის [illegible] დასუსტდა. სახელმწიფოს გამგებლობის [illegible] ორგანიზაცია თავიდან ბოლომდე პრინციპ[illegible] და იყოს აგებული. ადგილობრივი თვითმ[illegible]ობა მხოლოდ მაშინ იხეირებს, როცა [illegible] დამყარებულია საერობო თვითმართველობა[illegible] რუსეთში კი საერობო თვითმართველობა საერთო ბიუროკრატიულ წესწყობილებისაგან იყო დამოკიდებული...

ერობას რუსეთის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ბევრი ამ მნიშვნელობას აზვიადებს და ვერ ამჩნევს ერობის მოქმედების იმ მხარეებს, რომელიც საერთო განვითარების შემაფერხებლად უნდა ვიცნოთ. საქმე ისაა, რომ ცხოვრებაში ადამიანი საზოგადოდ აზვიადებს თავის ძალას. ხშირად მისი მოქმედება ვიწროდ არის შემოფარგლული, თვით ცხოვრების პროცესი ბუნებრივის აუცილებლობით მოქმედებს და აქ დაწესებულებათა თუ პიროვნებათა როლი მცირედია. მართალია, რუსეთის ერობები ცდილობდნენ, ხალხის მეურნეობა, სწავლა-განათლება გაეძლიერებინათ, გაეყვანათ გზები, მოეწყოთ საექიმო ნაწილი, მაგრამ მათს მოქმედებაში ბევრი რამ ისეთია, რაც აუცილებელი იქნებოდა ყოველგვარ მთავრობისათვის, რადგან მათი დაუწყებ და შეუსრულებლობა შეუძლებელია.

ჩემის აზრით, ერობის ორგანიზაციამ შეაფერხა საერთო რუსეთის პოლიტიკური ზრდა რუსეთში. რუსეთის ხალხი დაიქსაქსა; ყოველ მაზრას, გუბერნიას თავისი თვითმართველობა გაუჩნდა და მომქმედთა ძალღონე წვრილმან საქმეებს შეელია. ამით, უეჭველია, საერთო შეგნების, სოლიდარულ მოქმედების ზრდა შეფერხდა. ყველანი ადგილობრივ საქმეებში გაებნენ და საერთო საქმე მიავიწყდათ. საბოლოოდ მაინც გამოაშკარავდა, რომ ადგილობრივ საქმეების გაძღოლა წარმოუდგენელია საზოგადოებრივ უუფლებობის ატმოსფერაში. რაც თავიდანვე უნდა გადაწყვეტილიყო, ის დღეს გადასაწყვეტია...

ყოველ შემთხვევაში, დღეს ჩვენში საერობო დაწესებულებათა შემოღებაზე ლაპარაკობენ. საჭიროა, ეს დაწესებულებანი დავაფასოთ, ავწონ-დავწონოთ, არ მოველოდეთ იმისგან იმას, რაც მოსალოდნელი არაა.

ყოველთ უწინარეს, საჭიროა დაცულ იქმნას ერთი პირობა. შეძლების მიხედვით კლასობრივი დანაწილება საზოგადოებისა დღეს ყველასათვის ცხადია. ამასთან ჯერ კიდევ შენახულია წოდებრივი დანაწილება, რომლის შემწეობით შეძლებულნი თავის უპირატესობას ამკვიდრებენ. ცხადია, ყოველი დაწესებულება, რომელსაც საფუძვლად დაედება ცენზრივი გინდ წოდებრივი უპირატესობა, ხალხის ამ ნაწილის წარმომადგენელი და დამცველი იქნება. ამრიგად, ცენზის მიხედვით შედგარი კრებული იქნება ცალმხრივი...

არ უნდა დაგვავიწყდეს მეორე მხარეც. ერობა ერთნაირი ადგილობრივი თვითმმართველობაა, ხოლო „თვითმმართველობა"—მეტად განუსაზღვრელი შემეცნებაა: თვითმმართველობის ფარგალი შეიძლება ვიწრო იყოს, შეიძლება—ძალიან ფართოც. დემოკრატიული განვითარება ორგვარ პროცესს შეიცავს. ერთის მხრივ, ის ნიშნავს საზოგადოების წევრების შეკავშირებას, მათს ერთობას. განკერძოებულად არსებობა აღარ შეუძლიან არც კერძო პირს, არც ცალკე ჯგუფებს. მეორე მხრივ, დემოკრატიული განვითარება ითხოვს მეტ თვითმოქმედებას, მეტ დამოუკიდებლობას, როგორც პიროვნების, ისე საზოგადოებრივ ჯგუფებისას. ერობა მხოლოდ მაშინ იქნება რაოდენადმე მაინც სასარგებლო, როცა მას მიენიჭება თავისუფლება შინაურ საქმეებში. სადაც თვითმოქმედება არაა,... იქ სიცოცხლე არაა...

პ. სურგულაძე.

ქართულ თეატრის რეჟისორობა

სამუდამო სცენის დაარსებიდან დღევანდლამდე ჩვენი თეატრის გულშემატკივარნი სულ მუდამ იმას გაიძახიან,—ვერ იქმნა და ქართულ სცენას შესაფერი რეჟისორი ვერ გამოუჩნდაო. საზოგადოება მუდამ სჩივის ჩვენს თეატრში რეჟისურის სისუსტესა და მოუწყობლობაზე...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვითონ ჩვენს სცენაზე უნდა იყოს ისეთი პირობები და მიზეზებიც, რომელიც ხელს უშლის რეჟისორის ნაყოფიერ მოღვაწეობას. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია აღსანიშნავად ისეთი ორგანიული დაბრკოლება, როგორიც, მაგალითად, რეპეტიციების უდროვო-დროს დანიშვნა,—ნასადილევს ოთხ-ხუთ საათზე, და თვითონ რეპეტიციების სიმცირე: ჩვენში პიესები მომეტებულ შემთხვევაში იდგმება, ბევრი-ბევრი, სამი-ოთხის რეპეტიციით, რაც ყოვლად შეუძლებელსა ჰყოფს ხელოვნურ წარმოდგენას.

ამ მიზეზთა გარდა, არის უფრო ღრმად ჩაფლული მიზეზებიც, ზნე-ხასიათის ნიადაგზე აღმოცენებული. საკმარისია კაცი ცოტათი მაინც დაახლოვებული იყოს ჩვენს თეატრთან, რათა დარ[illegible]სა, რომ იგი შედარებით დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს,—დამკვიდრებულია თავისებური ცალმხრივი ტრადიციები, თავისებური ზნე-ხასიათი, რომელიც მაჩვენებელია მსახიობთა განუვითარებლობისა და მცირე ინტელიგენტობისა...

ჩვენი სცენა დღესაც დამყარებულია მსახიობთა პიროვნებაზე, მათს, ნიჭისა და უნარის გარდა, ზნე-ხასიათზე... ჩვენს სცენაზე დასი კი არ მოქმედებს, ვითარცა მთლიანი და ერთეული კრებული, არამედ ესა თუ ის მსახიობი, რომელსაც საპატიო ამალასავით გარს ახვევიან დანარჩენები...

ამიტომ ქართულ თეატრის რეჟისორი განსაკუთრებულს პირობებშია ჩაყენებული და სწორედ დიდი უსამართლობა იქნებოდა, მსახიობთა ძვალ-რბილში გამჯდარ ჩვეულებათა ტვირთ-ქვეშ მყოფი კაცი ჯვარს გვეცვა მხოლოდ იმისათვის, რომ იგი უძლურია ახალი რამ გააკეთოს, ახალი გზა გაკაფოს თვითნებობის სამფლობელოში. მართალია, დღე-დღეზე უფრო და უფრო შედის ჩვენს სცენაზე ახალი შუქი, ახალი ცნობიერი ალღო საქმიანობისა, და არც ისე შორს არის ის სანატრელი დრო, როცა ჩვენს სცენაზე, ძველებურ დახავსებულ რუტინის მაგიერ, ფეხს მოიკიდებს გონივრული და ფხიზელი აზრი,—ჯერ საქმე და მერე პიროვნებაო,—მაგრამ ჯერ კიდევ დიდი ბრძოლაა საჭირო... ჯერაც თვითეულ ქართველ მსახიობს, თავის-თავს გარდა, სხვა არავინ სწამს რეჟისორად... ამის გამომჟღავნება, იქნება, სამწუხაროც იყოს, მაგრამ მართალი კია!

ახლა უადგილო არ იქნება აღვნუსხოთ, თუ რა ღირსება-თვისება მოეთხოვება რეჟისორს თანამედროვე დრამატიულ თხზულებათა განსახორციელებლად სცენაზე იმ მოწყობილობისა და ძალთა მიხედვით, რომელნიც რეჟისორის ხელთ არიან ქართულ თეატრსა და სცენაზე.

რეჟისორის უნარისა და ნიჭის უმთავრეს საფუძვლად და საძირკვლად, ჩვენის აზრით, უნდა აღიარებულ იქმნას ფანტაზია. ფანტაზია სწორედ ნამდვილი სტრატეგიაა სასცენო მოქმედებაში. თუ მსახიობნი ერთგული და სანდო მხედრობაა მეფე-ავტორისა, მაშინ რეჟისორი, უეჭველია, ერთად-ერთი მთავარ-სარდალია თეატრის ასპარეზზე. მარტო რეჟისორის სტრატეგიაზე (ფანტაზიაზე) არის დამოკიდებული, როგორც პიესის დედა-აზრისა და მსახიობ-ჯარის დამარცხება, ისე კიდევ სახელოვანი გამარჯვებაც.

რეჟისორი, განსაკუთრებით ახლანდელის პიესებისა, სწორედ დაუშრეტელ ფანტაზიის პატრონი უნდა იყოს, რადგან მხოლოდ ფანტაზიის წყალობით-და თუ შესძლებს იგი გააცხოველოს და გააფერადოს პიესის სარჩული, რომელზედაც ამოიქსოვება და ამოიხარიშება ყოველივე წვრილმანი და ინდივიდიალური თვისება, რომლითაც ასე უხვად და ჭარბად არის აჭრელებული ჩვენ დროინდელ პიესების უმრავლესობა. წინანდელი შაბლონური პიესები ადვილი დასადგმელი იყო, რადგან ავტორებიც ძალზე ხელს უწყობდნენ რეჟისორს წვრილმანების სიმცირით და თვით პიესების სიმარტივით. ახლანდელი ავტორები კი მეტად ართულებენ პიესებს, ეგრედ წოდებულის, „გუნების"—настроеніе-ს—შეტანით და ამგვარ პიესების ხელოვნური განხორციელება სცენაზე დიდსაც დიდს უნარს და დიდს ფანტაზიას თხოულობს რეჟისორისაგან.

ჩვენს თეატრს თუ ძველ წეს-რიგს უწუნებენ,—იმიტომ კი არა, რომ ჩვენი ძველი წარჩინებული და ნიჭიერი მსახიობნი დაუძლურებულიყვნენ, ან მათს ნიჭს ძლიერება დაჰკლებოდეს. სულაც არა! საქმე ის არის, რომ საზოგადოების უმეტესობა ინსტიქტიურად ახალს რაღასაც თხოულობს, თუმცა თვითონაც ვერ გამოურკვევია, რა უნდა იყოს ეს ახალი; ხოლო შეგნებულს ნაწილს საზოგადოებისას სრულებით ველარ აკმაყოფილებს ხელოვნური წარმოდგენებიც დახავსებულ პიესებისა და ახლებისა კი გრძნობათა შაბლონური გაპიროვნება ძალზე აბრაზებს და აღრტვინებს, რადგან ტრაფარეტულმა ხელოვნებამ, დიდი ხანია, თავის დრო მოსჭამა.

ამ ახალის ნატვრა, ძებნა და მოთხოვნაც თვითონ ცხოვრებამ შეჰქმნა, და მიტომ ევროპისა და რუსეთის თეატრები უკვე მიეგებნენ ამ ახალს მოთხოვნილებას, რამაც ძველი რეპერტუარი და შაბლონური სასცენო ხელოვნება თეატრიდან ნელ-ნელა განაძევა და მათ მაგიერ დღეს ყველგან გაბატონა იბსენი, ჰაუპტმანი, მეტერლინკი, ბიერნსტონი, სტრინდბერგი, ნორდაუ, ბრიე, შნიტცლერი, ჩეხოვი და სხვანი მათნი ნიჭიერი თუ უნიჭო მიმდევარნი და მიმბაძველნი. დაწუნება არსებულისა, ძველისა, და მოთხოვნა უცნობ ახლისა მარტო ჩვენში კი არ არის, ამ აქლემმა ყველა ევროპიელ ხალხთა თეატრების წინაშე დაიჩოქა და იქ დაუყოვნებლივ შეუდგნენ ცხოვრების-მიერ წამოყენებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას; რუსეთის სატახტო ქალაქებში და ამ ბოლოს დროს პროვინციებშიაც კი მოქმედება დაიწყეს ახალ მიმართულების თეატრებმა, რომელნიც ზოგან საუცხოვოდ მუშაობენ... ახლა ჩვენზე მოდგა ჯერი და ამ მხრივ ჩვენს თეატრსა და [illegible] უნდა, რეჟისორს ეკუთვნის.

ახალ სცენაზე უკვე არ არსებობს, ეგრედ წოდებული, „ამპლუა",—ეს შაბლონური დაყოფვა მსახიობთა უარყოფილია. ახლა არის მხოლოდ ნიჭი და ინდივიდუალობა მსახიობისა. ახალ პიესებში „როლები კი არაა,—არიან მხოლოდ ადამიანები, რომლების გაპიროვნებას მსახიობი წინანდებურს შაბლონურ ჩარჩოში ველარ მოათავსებს; ახლა მსახიობი, ფხიზელის მოფიქრებისა და მუშაობის შემდეგ, მოვალეა განახორციელოს ადამიანი და მისი სულის-თქმა. ახლანდელის სცენის საგანი ოთხის სიტყვით გამოითქმის: „დაინტერესება პიესით და არა მომქმედით". სწორედ ამის მიხედვით უნდა მოქმედებდეს რეჟისორი და მასთან სცენის თითოეული მუშაკი, განურჩევლად ნიჭისა და ღირსებისა, დამსახურებისა და განვითარებისა.

როგორც ზემოდ ვსთქვით, ახალის პიესების მთავარ ძარღვის ფეთქას შეადგენს „გუნება"—настроеніе; ამ „გუნების" ყოველმხრივ და ყოველისავე საშუალებით გაპიროვნება და განხორციელება უზენაესი საგანი და მოვალეობაა აწინდელის რეჟისორისა. ამ დროინდელი უდიდესი პოეტ-დრამატურგ-სიმბოლისტი მეტერლინკი, სხვათა შორის, აი, რას ამბობს ახალ დრამაზე: „ახალის დრამის სახასიათო და არსებითი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ გრძნობებს იგი ასურათხატებს არა უმწვერვალესს **გარეგნულ** მოქმედებაში, არამედ უწყნარესს **შინაგან** მოძრაობაში".

ჰო და, ამ შინაგან მოძრაობის, ხშირად თვალით უხილავ ძარღვის ფეთქების, ანუ ძლივს მისახვედრ აზრის გაელვების, ანუ ძნელად გასაგონ ობოლის სულის ოხვრა-კვნესის სცენიურ დასურათხატებაში გამოიცდება ნამდვილი რეჟისორი...

სცენის მოყვარე.

ნ. დურნოვოს აზრი საქართველოზე

ზოგიერთ რუსულ გაზეთში ამას წინად ხმა გავრცელდა საქართველოს ავტონომიის შესახებ. ყველა ამის გაგონებაზე კითხულობდა, სად იქმნება, რომელ საზღვრებში იქმნება განხორციელებული ეს ავტონომიაო?

ჯერ ის უნდა სთქვას ადამიანმა, რომ ამიერკავკასიაში ქართველებს რუსებზე მეტი სისხლი აქვთ დაღვრილი, რომ ქართველები სისხლს ღვრიდნენ რუსების გულისთვის, ვინაიდან უამისოდ რუსეთი ვერ დამკვიდრდებოდა კავკასიაში. ამიტომა სისხლი თუ შეაფასა ადამიანმა, რუსებს ცოტა რამ ქართველების სასარგებლო გადასახდელიც დაურჩებოდათ.

მაგრამ ამის გადახდას ქართველები არ მოითხოვენ, მათ უნდათ მხოლოდ თვითმმართველობა...

რუსებს ქართველები რომ არ ედევნათ, ქართველებისთვის რომ შინ სამსახურის უფლება არ მოესპოთ,—მათ ავტონომია არც კი გაახსენდებოდათ არაოდეს. დღეს კი, ჩემის ფიქრით, ამისი უფლება აქვთ, ვინაიდან მათ სურთ შეირჩინონ თავისი სამშობლო ენა.

საქართველოს საზღვრები ადვილი მოსანახია: ამ საზღვრებში მოჰყვება ქართლი (მაზრები: ტფილისის—ქართველები 50% მეტია, სომხები, განსაკუთრებით ტფილისში, 28%, გორის—ქართველები და ოსები 86,5%, დუშეთის—ქართველები 93,5%), კახეთი (მაზრები: თელავის—ქართველები 83%, თიანეთის—90, სიღნაღის—83, ზაქათალის ოლქი—80%, უმეტესად მაჰმადიანები) სამცხე—წინად სულ ქართველებით იყო დასახლებული, შემდეგ ზოგიერთმა მიიღო მაჰმადიანობა და 1898 წელს აქეთ შიგ ჩასახლდნენ სომხები, ზოგან ბერძნებიც არიან. ამას ეკუთვნის მაზრები: ბორჩალოსი, სადაც ქრისტიანე ქართველი 15%, სომეხი 37 და მაჰმადიანი 30, ამათში ბევრი ქართველი არის. ახალციხესი: ქართველი მართლმადიდებელი 13,5 სომეხი 28, მაჰმადიანი 54, ზოგიერთი მათგანი ქართულის მოლაპარაკეა. ახალქალაქის: ქართველი 7, სომეხი 75%.

ქუთაისის გუბერნიაში, იმერეთს შეადგენს მაზრები: ქუთაისის, რაჭის, შორაპნისა და ლეჩხუმის. მათში იმერელი 98%; სამეგრელოს მაზრები: ზუგდიდისა და სენაკის, მეგრელი 98,5%. სამეგრელოს ეკუთვნის აგრეთვე სოხუმის ოლქის სამურზაყანოს ნაწილი; გურიას შეადგენს ოზურგეთის მაზრა, სადაც 99% გურული სცხოვრობს. ბათუმის ოლქში სახლობენ ქართველი მაჰმადიანები: კობულეთლები, აჭარლები, ლაზები,—ესენი ქართველ ქრისტიანებთან ერთად შეადგენენ

$95^{0}/_{0}$. სოხუმის ოლქი, რომელიც ძველადვე საქართველოს ნაწილს შეადგენდა და დასახლებულია ქართველებითა და აფხაზებით, საქართველოს თვითმართველობის საზღვარში უნდა მოვაქციოთ უთუოდ.

ქართლ-კახელების რაოდენობაც არის ცნობილი: ქართლელი—485 ათასია, ამას მაჰმადიანი ქართველებიც რომ მივუმატოთ, თითქმის 600,000-ზე მეტი გამოვა. იმერელი—500 ათასი, მეგრელი, სვანი, სამურზაყანოელი 300 ათასი, გურული 100 ათასი, აფხაზი 45 ათასამდე.

ქართველებს ცალკე სახელმწიფოს აღდგენა არ უნდათ... მათ ენატრებათ მხოლოდ თვითმართველობა.

მათ საზღვრებში ხალხი ეროვნულის მხრივ მთლიანია, იქ არავითარი არევ-დარევა არ არის.

სახელმწიფოს ძლიერება შეიძლება მხოლოდ სამართლიან მოქცევაზე იყოს დამყარებული. სირცხვილი იმ რუსულ გაზეთებს, რომელთაც მათი თავი ეროვნულ გაზეთებად მოაქვთ და რომელნიც არა-რუსებისადმი სიძულვილს იჩენენ, ვაშას ეძახიან ყოველგვარ ეროვნულ დაჩაგვრას, ყოველგვარ უსამართლობას, რომელსაც ამ 25 წლის განმავლობაში ადგა რუსების დმი[illegible] რუს-სლავიანოფილების საუკეთესო წარმომადგენლები, როგორიც არის, მაგალითად, ფადეევი, გილიაროვ-პლატონოვი, აქსაკოვი და სხვანი? (რაზსვეტ).

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

19 **ივლისი**.

ბელოსტოკი, 19 ივლისი. გროდნოსა, ვილნოსა, კოვნის გუბერნიებსა და მახლობელ გუბერნიებში ქარხნის მუშები საურთიერთო დამხმარე საზოგადოებას აარსებენ. საზოგადოება უზრუნველ-ჰყოფს უბედურ შემთხვევისაგან დაშავებულ წევრებს.

მოსკოვი, 19 ივლისი. გაძლიერებული დაცვა მოსკოვის გუბერნიაში მხოლოდ 1906 წ. 4 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

საგუბერნიო ერობის სამმართველომ ოფიციალური ცნობა მიიღო, რომ ერობის ანგარიშების უცენზუროდ ბეჭდვის საკითხი მხოლოდ მაშინ დამტკიცდება, როდესაც კობკოს კომისია მუშაობას დაასრულებსო.

პარიზი, 19 ივლისი. პრესის ლატარიაში 1 მილიონიანი მოგება რუსეთის ელჩს ზარონს ერგო.

ტომსკი, 19 ივლისი. საბჭომ ცხრა ხმოსნისაგან კომისია შეადგინა. ამ კომისიამ საერობო დაწესებულებათა ძირითადი დებულებანი და ფორმები უნდა შეიმუშაოს.

მინსკი, 19 ივლისი. გადაიწვა დაბა კოპილის ერთი ნაწილი. საჭიროა დახმარება.

პეტერბურგი, 19 ივლისი. ცარსკოე სელოში ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის თანადასწრებით სამოწყალო სახლის საძირკველი აკურთხეს. ეს სახლი დაჭრილ ჯარისკაცებისათვის იქმნება.

ბერლინი, 19 ივლისი. ბულგარიასთან სავაჭრო ხელშეკრულობას დღეს ხელი მოაწერეს.—სამხრეთ-აფრიკიდან მოსულ ცნობებით, ჰოტენტოტები ვიტბოას უფროსობით გავიდნენ ინგლისის სამფლობელოს საზღვრებიდან დასავლეთისკენ და მთებში, გიბკონის დასავლეთით, თავის ძველი პოზიციები დაიჭირეს, რისთვისაც საჭიროა ამ რაიონში ახალი ექსპედიცია გაიგზავნოს.

ვენა, 19 ივლისი. „ვენერ ტაგებლატ"-ს სტამბოლიდან ატყობინებენ, სულთანის მოკვლის განზრახვისა გამო სამი ათასზე მეტი სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების კაცია დაჭერილი. არა-მაჰმადიანთ სასტიკად ჰპყრობიან.

მოსკოვი, 19 ივლისი. ფარმაცევტთა კრება დაიშალა, რადგანაც გრადონაჩალნიკის-მიერ აღნიშნულ პროგრამაში არ არის ნახსენები. ამქრები შუამდგომლობენ გრადონაჩალნიკის წინაშე, რომ შემოღებულ იქმნას საყოველთაო სწავლა, დაარსდეს ტეხნიკური სკოლები და სხვა.

ლონდონი, 19 ივლისი. „ტაიმსი"-ს კორესპონდენტი ტანჟერიდან იუწყება, რომ შეერთებულმა შტატებმა მაროკოს კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა განაცხადა.

კოპენჰაგენი, 19 ივლისი. (რიტცაუ). ბერნსტარფის სასახლეში მეფე ქრისტიანმა მადლობა გადაუხადა იმპერატორ ვილჰელმს, რომელიც შპარტა დანიის სტუმრად ეწვია. იმპერატორმა ვილჰელმმა მოაგონა, რომ ორის წლის წინად ქრისტიანმა იგი დანიის [illegible]

ხარკოვი, 19 ივლისი. უნივერსიტეტში 134 სტუდენტმა მისცა თხოვნა შემდეგ კურსზე პირობით გადაყვანის შესახებ.

ლონდონი, 19 ივლისი. მადრასში ხოლერა გაჩნდა.

პარიზი, 19 ივლისი. „მატენი" არწმუნებს, გარეშე საქმეთა სამინისტროს არქივებში ინახება დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ოთხის წლის წინად გერმანიის ელჩი პარიზში დელკასეს ეპასუხებოდა საფრანგეთ-გერმანიის დაახლოვების შესახებ, მაგრამ დელკასეს შეკითხვაზე, გერმანიას რის დათმობა შეუძლიანო, არავითარი პასუხი არ მიუღიაო.

პეტერბურგი, 19 ივლისი. ნავთის კრიზისის მოსაწესრიგებლად რჩევა ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ტიმირიაზევის თავმჯდომარეობით 21 ივლისს მოხდება.

პეტერბურგი, 19 ივლისი. დღეს, 2 საათზე, პეტერგოფში, ხელმწიფე იმპერატორის თავმჯდომარეობით, დაიწყო განსაკუთრებულ რჩევის სხდომები გოფმეისტერ ბულიგინის პროექტის განსახილველად. როგორც ხმები დადის, რჩევაში მონაწილეობას იღებენ: დიდი მთავრები ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, ალექსი ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე, სახელმწიფო საბჭოს წევრები: ობოლენსკი, პოლოვცევი, რიხტერი, იგნატიევი, სტიშინსკი, გერხოვსკი, ტაგანცევი და გოლუბევი, ყველა მინისტრები, სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტების თავმჯდომარენი, სენატორები ბობრინსკი, შირინსკი და ნარიშკინი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები კლიუჩევსკი და პავლოვი. საქმის წარმოება მინისტრთა კომიტეტიდან სახელმწიფო კანცელარიას გადაეცა.

ხერსონი, 19 ივლისი. საოლქო-სამხედრო სასამართლომ დისციპლინარულ ბატალიონის პოდკოვნიკის დავიდოვის მოკვლის განზრახვისათვის როგაჩევს, პარხომენკოს, ერმაკოვს, ბურტენკოს და ხარჩევს დახვრეტა გადაუწყვიტა, ოთხს სხვას—კატორღა, 22 გაამართლეს.

კელცი, 19 ივლის[illegible] კომერციულ სასწავლებლის სამზრუნველო რჩევას ბევ[illegible]მა სახლის პატრონებმა, ვაჭრებმა და მრეწველებმა [illegible]სთხოვეს, ეშუამდგომლონ, სადაც ჯერ არს, რომ ს[illegible]ვლება რუსულ ენის მაგივრად პოლონურ ენაზე ს[illegible]არმოებდესო.

პარიზი, 19 ივლის[illegible]. ხმები, ვითომც საფრანგეთი ბალტიის ზღვაში თა[illegible]ვის ესკადრას ჰგზავნიდეს, სიმართლეს მოკლებულია (ჰავასი).

რუსეთ-ია[illegible]ნიის ომი

დეპ[illegible]ები.

(რუსეთისა და პეტერბურგი[illegible] დეპეშათა სააგენტოებისაგან)

19 [illegible]ისი

ნიუ-იორკი, 19 ი[illegible]. სატოს ეჭვი აქვს, რომ ინგლისის კორე[illegible]დენტთან ვიტტეს ნალაპარაკევი სწორედ ი[illegible] გადმოცემული. ვიტტე, როგორც კომურა[illegible]უბრალო დესპანები კი არ არიან, არამედ რწმ[illegible]ულნი, დიდის უფლებებით აღჭურვილნი. ა[illegible]ებს შეუძლიანთ კონფერენციის სხდომებზ[illegible]ადასწყვიტონ ყველა დიდი საკითხები, ის[illegible]მ თავის მთავრობას არც კი დაეკითხებიან.

ნიუ-იორკი, 18 ი[illegible]. სლავიანთა კავშირის საზოგადოება ვიტ[illegible] დეპუტაციისა და ადრესის გაგზავნას აპ[illegible]ს.

პეტერბურგი, 19 [illegible]ისი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ[illegible]ინევიჩისა 1905 წლის 18 ივლისის თარიღით[illegible]არში ცვლილება არ არის. კორეიდან იუწ[illegible], რომ 12 ივლისს ჩვენი მოხალისენი ვუსალიენგის მთაგრეხილზე გადავიდნენ, მაგრამ მტერმა აიძულა კონუნგეანისკენ დაეწიოთ".

უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ ლინევიჩისა, 12 ივლისის თარიღით: „ამ ბოლო დროს უცხოეთის გაზეთებში ხშირად იბეჭდება ცნობები, ვითომ ჩვენი ჯარი ალყაშემორტყმული იყოს და უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდეს. სამწუხაროდ, რუსეთის გაზეთებიც ამასვე იმეორებენ. ამის გამო, მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას, რომ ჯარი განსალდელში არაოდეს არ ყოფილა. ჩვენის ჯარის სანაპირო ფრთას იაპონელები გარს არაოდეს არ შემორტყმიან. თუმცა, შეიძლება, სცდილობდნენ კი ალყის შემოკვრას, მაგრამ ვერ მოუხდათ. მთელს ფრონტზე მტერს პირისპირ ვუდგევართ. იაპონელები ჩვენის უმთავრეს პოზიციიდან მოშორებით სდგანან. თუმცა რამდენჯერმე სცადეს ახლო მოსვლა, მაგრამ ფეხი კი ვერ მოიკიდეს. სავალდებულოდ ვრაცხ მოვახსენო თქვენს უდიდებულესობას, რომ ჯარის სულიერი მდგომარეობა სრულის ნდობის ღირსია. იგი მზადაა ყოველსავე მოვალეობას პირნათლად შეხვდეს".

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 ვე გვერდზე).

ახალი ამბავი

როგორც სოფელ ახალქალაქიდან გვატყობინებენ, იქ ექვსი სოფლის ყრილობა მომხდარა, რომელსაც აურაცხელი ხალხი დასწრებია. **ყრილობას დაუდგენია:** მემამულე ამილახვრებს და თარხნიანთ, თუ ესენი დასთანხმდებიან, მოსავლის მეათედი მისცენ და თავიანთ ურმებით მიუტანონ; ხოლო, თუ მათ მეოთხედი მოითხოვეს, მთელი ჭირნახული მინდვრად დავტოვოთო.

◆ „რუს. სლ." ბორჯომიდან დეპეშით ატყობინებენ: **დიდ მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძეს მისს მამულებზე მცხოვრებ გლეხებისათვის უფასოდ დაუთმია:** სახლში სახმარებლად სამყოფი შეშა, საძოვრები, სამმართველოებისთვის სადგომი და რაც ამ სადგომს წელიწადში შეშა და ნავთი მოუნდება. ხოლო ნახევარ ფასში დაუთმია შენობის ასაგები მასალა.

◆ როგორც „ცნ. ფ."-ს ატყობინებენ, **საჩხერის საბლაღოჩინო ოლქის მედავითნენი გაფიცულან.** მედავითნენი ამბობენ, მღვდლებზე ნაკლებ არა ვმუშაობთ და, თუ შემოსავლის მესამედი არ მოგვეცა, სამსახურს არ დავიწყებთო.

◆ ეკატერინენფელდის საბოქაულოში **თარეშობდა ერთი ყმაწვილი,** რომელიც თავის თავს სომეხთა რევოლუციონერ კომიტეტის წევრად აღიარებდა. ეს ვაჟბატონი დადიოდა სოფლებში და ხსენებულ კომიტეტისთვის გლეხკაცებში ფულს აგროვებდა. თუ რომელსამე სოფელში ფულს არ მისცემდნენ, ეს „რევოლუციონერი" რომელსამე სახლის სახურავზე ადიოდა, ამოიღებდა ხოლმე ჯიბიდან შავს ბურთს და მიმართავდა თავ-მოყრილ გლეხკაცობას: „ჩქარა ფული მომიტანეთ, თორემ, აი, ყუმბარას გადავაგდებ და მთელი სოფელი განადგურდებაო". შეშინებული გლეხები ფულს ყველგან აძლევდნენ. ბოლოს ბოქაულმა დაიჭირა ეს ვაჟბატონი და ტფილისში გამოჰგზავნა. როგორც აღმოჩნდა, იგი იაკობ ღარიბიანცი ყოფილა.

◆ გუშინ, 20 ივლისს, ტფილისში **ჩამოვიდა ერთი იაპონელი** და სასტუმრო „ვეტცელში" ჩამოხტა. იაპონელს თან თარჯიმანი ახლავს.

◆ როგორც „ყაზ."-ი გადმოგვცემს, კავკასიის რკინის გზის **გაფიცულ მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი** შემდეგია: 1) 8 საათის სამუშაო დღე; 2) ხელფასის 10% მომატება და 3) სადგომების დასაქირავებლად საჭირო ფული.

◆ რადგანაც კავკავის რკინის გზაზე მოსამსახურეთა გაფიცვის გამო მატარებლების მიმოსვლა სრულიად შესწყდა, **რუსეთის ფოსტა ბათომზე გამოჰგზავნეს.** 18 ივლისს ნოვოროსსიისკიდან ბათომში მოვიდა გემი, რომელმაც მოიტანა ორი ათასზე მეტი ფუთი საფოსტო ტვირთი. ეს ფოსტა ტფილისში ორის მატარებლით ჩამოიტანეს.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფ. ქალანთარის მცხოვრებთ გამზა და სამედ იზმაილ ველი-ოღლების მეთაურობით შემდგარ ყაჩაღთა ბრბოდან **3 ყაჩაღი უკვე შეუპყრიათ.**

◆ **მუშათა კავშირის არტელმა, „გეორგიას"** ფირმით ცნობილმა, ქალაქის გამგეობისაგან იჯარით აიღო ბამბუკის ქვის გამოტანა. ახლა, როგორც გავიგეთ, ინჟ. ენფიაჯიანცს თავის მოიჯარადრე იარალოვისათვის მიუცია ეს საქმე და „გეორგიას" ანგარიშში ბ-ნ სეილანოვისათვის 7,800 მანათი მიუცია.

◆ ტფილისის მაზრის უფროსის სახელზე **აურაცხელი საჩივრები შემოვიდა ფუნიკულერის რესტორანების პატრონებზე,** რომელნიც მამასისხლად ჰყიდიან თურმე სასმელ-საჭმელს. ეს თხოვნები განსახილველად გადაეცა მაზრის უფროსის თანაშემწეს ე. გუგუშვილს, რომელიც დარწმუნდა საჩივრების სიმართლეში და რესტორანების პატრონთ გამოუცხადა, თუ არსებულ ნიხრზე მეტს აიღებთ და კვლავ გიჩივლებენ, სასტუმროებს დაგიხურავთო.

◆ საგუბერნიო ადმინისტრაციას განსახილველად გადაეცა საქმე სოფ. მატანის (თიანეთის მაზრა) მცხოვრების სვიმონ მახათაშვილისა, რომელსაც **ადგილობრივ მამასახლისის წინააღმდეგობა ბრალდება.**

◆ თანახმად ციმბირის რკინის გზის გამგეობის თხოვნისა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა ციმბირის გზაზე **ოცდახუთ ორთქლმავალსა ჰგზავნის.**

◆ ტფილისში ჩამოვიდნენ ნიკიტის **საიმპერატორო სამეურნეო სასწავლებლის მოწაფე-ექსკურსანტები,** რიცხვით 15 კაცი. ექსკურსანტებს თან მოჰყვათ მეღვინე-ქიმიკოსი ბ-ნი სოვრენკო.

◆ სამშაბათს, 19 ივლისს, ქალაქის გამგეობაში **მოხდა კერძო კრება ხმოსანთა,** რომელთაც ქალაქის მოურავმა აცნობა უმაღლეს მთავრობის წინაშე აღძრულ თხოვნის შედეგი. ქალაქის თხოვნა პოლიციის ხარჯისაგან განთავისუფლების შესახებ მთავრობას უყურადღებოდ დაუტოვებია. სახელოსნო სასწავლებელზე თხოვნა ამ სასწავლებელთან კომიტეტის დაარსების შესახებ ჯერ არ მოხსენებია თურმე სამინისტროს. საავადმყოფოთა გადასახადის (больничный сборъ) საქმე მალე დაკანონდებაო, რომ ეს გადასახადი საერთო იყოს და არა კერძო.

◆ ოთხშაბათს, 20 ივლისს, ებრაელთა თორაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის ქალაქის სანიტარო კომისიის თავმჯდომარის **ექიმის-რაზამატის სულის მოსახსენებლად.** პანაშვიდზე სიტყვა წარმოსთქვეს ექიმმა მონინმა და რაბინმა. პანაშვიდს დაესწრნენ ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელნი და მრავალი პატივისმცემელი.

◆ 23 ივლისს მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილებაში, ტფილისში, განსახილველად დანიშნულია საქმე „ყარის სადგურის კანტორშჩიკად ნამყოფის **კონსტანტინე დავიდოვისა,** რომელსაც **სახაზინო ფულის გაფლანგვა** ბრალდება.

◆ **ტფილისის მიწის მზომელთა სასწავლებელში მისაღები ეგზამენები 25 აგვისტოს დაიწყება.** თხოვნები სასწავლებლის უფროსის სახელზე უნდა გამოიგზავნოს. პირველ კლასში ორმოცი ვაკანსიაა.

◆ 22 ივლისს გორში მიემგზავრება **ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსია.** სესიაში არიან თავმჯდომარის თანაშემწე იგლიანდი, ოლქის სასამართლოს წევრი ტარსაიძე და ბრალმდებლის ამხანაგი კალვაიტსი.

◆ ტფილისის მაზრის უფროსად **ინიშნება** ბორჩალოს **მაზრის უფროსი ბ-ნი შანშიევი.**

◆ 17 ივლისს ორთაჭალის ბაღებში ტფილისის **მაჰმადიან საზოგადოებამ სადილი გაუმართა** ცნობილ პუბლიცისტს ახმედ ბეგ-აღაევს, გაზეთ „ჰაიათ"-ის რედაქტორს.

რადგანაც ამას წინად ამიერ-კავკასიის შეიხ-ულ-ისლამს შვილი მოუკვდა, მის პატივსაცემლად სადილზე მუსიკა არ ყოფილა, ტფილისის გუბერნიის

ფელეტონი

დილიდან-დილამდე

(რუსულიდან ი. ხ—სა)

თენდება დილა, საამური, გრილი! თვალს განთიადის კარი იტაცებს, გულს ახალისებს ფოთლების ჩუმი საუბარი; ცელქი, თავისუფალი ნიავი დათამაშებს მინდორზე, არწევს ყვავილების აკვანს და ბანს ეუბნება ანკარა ტბის წყაროს. დაღალული ბულბული უკანასკნელის სტვენით აცილებს მთვარეს სამხრეთისაკენ და ეშხით დამთვრალ ვარდის შტოს ეყრდნობა.

დიაღ, ასე თენდება ზაფხულის მშვიდი და წყნარი დილა, მაგრამ ის მხოლოდ თვალსა მტაცებს, ხოლო ფიქრი, ფიქრი კი შორს არის ამ მელოდიიდან, ამ ბუნების მეჯლისიდან,—ის, როგორც ქარიშხალი, ურბენს ამწვანებულს მინდორს კი არა,—არა, ის დასტრიალებს ცრემლებისაგან დანამულს ცხოვრების მდელოს; ის მისჩერებია ცის განთიადის კარებს კი არა, არამედ თავისუფლების დახშვის კარებს; ის ესაუბრება ხეების მწვანე ფოთლებს კი არა, არამედ ჩამჭკნარ, ჩაყვითლებულ ადამიანთა ლანდებს, ჩამოწყვეტილთ ცხოვრების შტოდან, გათელილთ ფეხ-ქვეშ, შეურაცხყოფილთ უღირსის ხელებით!

დიაღ, ფიქრი ამ დროს ურბენს ცხოვრების მდელოს, ის დასთამაშებს ანკარა ტბის წყაროს კი არა, არამედ შეგუბებულს, ამ შორეულს ტბას, საიდანაც ჩაშპალი წყალი შხამავს მიდამოს.

ის ეშხით დამთვრალ ბულბულივით კი არ მისვენებულა გონების შტოზე, არამედ აბობოქრებულ ქარიშხალივით ურბენს ცხოვრების ტალღებს, ესაუბრება მას, მისდევს მის ზვირთებს და ჰქრება მისთვის მოსვენება! მოსვენებაო? არა, ის მედგრად სცემს განთიადის კარებს, თავისუფალ არწივის ფრთებით ეხეთქება მას, სურს შემუსროს, შეანგრიოს, გასწყვიტოს ჯაჭვი, რომ დაინახოს განთიადი,—ცისა კი არა...

მაგრამ ფიქრი?! განა საკმარისია ფიქრი განთიადისთვის?!

⁂

ამოცურდა ამაყი მზე. მისი სხივები მწვანე მინდორზე მარგალიტებს გაეთამაშა. გაიღვიძა ტყემ, ბორცვმა, ახმაურდა მინდორი, ფრინველების ჟრიამული ჰანგს უწყობს ბუნების ჩანგს. დიდი ოქროს ბურთი ზევიდან დაჰყურებს ჩემს უბედურს სამშობლოს, თვალი იქიდან იზიდება, თვალს ატკბობს ბუნების დიდებული სურათი, მაგრამ ფიქრი... ფიქრი კი შორს არის მისგან, ის სხვაგან, სულ სხვა სურათს მისჩერებია. ის არ უყურებს ცაზე ოქროს ბურთს, ცის სიამაყეს, გვირგვინს; არა, ის მისჩერებია სულ სხვას, სიცოცხლის მომშხამველს, სულის შემხუთველს, გულის გამგმირავს... სამარცხვინოს... რომელსაც უყვარს სიბნელე, და არა სინათლე! ღამე, და არა დღე!

დიაღ, ფიქრი, შავი ფიქრი დასტრიალებს სულ სხვა ბურთს...

ის ყურს უგდებს ფრინველთა მეჯლიშს კი არა, არა, მას ესმის ძირს ჯურღმულიდან ყრუთ ამოკვნესა, ამოკვნესა და მასთან მუქარა. იქ, იმ უფსკრულში, ოდნავ ციმციმებს სინათლის სხივები, მოიწევს ზევით, ის ამ სხივებს ეელება გარშემო, სურს გათენდეს, გააშუქოს დედამიწა, ცის ბურთში კი არა, არამედ...

მაგრამ ფიქრი?! განა საკმარისია ფიქრი ამისთვის?!

ღამდება. ნელნელა ეშვება მზე დასავლეთისკენ. ბინდი სწურავს სინათლეს და თავის შავს კალთებში ახვევს დედამიწას. ცაზე ვარსკვლავები ერთი-მეორეზე იბადება მთვარე კი მზრუნველ დედასავით გასცქერის მათ. მოწმენდილს ცის ტატნობზე მოსჩანს პაწია შავი ღრუბელი შვენის ის, როგორც ლამაზის სახეზე ხალი. თვალი მას მისჩერებია, უნდა შეასვენოს, სურს დასტკბეს... მაგრამ ფიქრი კი, ფიქრი სულ სხვა სურათს დასტრიალებს, ის სხვა ღამესა ხედავს; ღამეს გულში, ღამეს, რომელიც დასწოლია ადამიანის სულს, გონებას; ღამეს მშვიდს, წყნარს, როგორც სიკვდილს, როგორც კუბოს, საიდამაც მოსჩანს ფერმიხდილი, მხდალი, გაუბედავი, შეურაცხყოფილი სახე ჩემის სამშობლოსი.

მთვარე მას ნიშნს უგებს, ვარსკვლავები დასცინიან მის მიმქრალ თვალებს... მეჯლიშობს ბუნება, მას არ აწუხებს ღამე, სიბნელე, და ფიქრი კი, შავი ფიქრი მისჩერებია სულ სხვა ღამეს, მას ესმის ქვითინი შავს ტალღებზე, ესმის როგორ ზვირთდება თანდათან ჯურღმულის ყრუ ამოძახილი. ის, სადაა, გადაიქცევა გრგვინვად და მოასკდება განთიადის კარებს.

მაგრამ ფიქრი?! განა საკმარისია ფიქრი?!

მაშ რა?

— გახედეთ წითლად შეღებილს აღმოსავლეთს და ის გასწავლით!

იქ, ცის ტატნობზე, ქრება ვარსკვლავი,
თვალებსა ხუჭავს ზაფხულის ღამე,
შენ სხვა განთიადს ელი, სამშობლო,
მაგრამ მით გული ვერ დაიამე!
ჩუ! დაუქროლა დილის ნიავმა,
მთას გადმოადგა წითელი დროშა,
ამაყად მაღლა ასწია თავი
და დედამიწა მორთო, შემოსა!

ჩემო სამშობლო გაუბედაო,
ავარდა ალი ცაზე, თენდება;
შენ რაღას ელი? კმარა, ოჰ კმარა,
მხოლოდ ფიქრი და სულის კვეთება!

ი. ევდოშვილი.

ჯონ ბერნსი

(მუშათა პარტიის ბელადი ინგლისის პარლამენტში)

1892 წელს ინგლისის პარლამენტში პირველად გაჩნდა მუშათა პარტიის დეპუტატი. ამ დრომდის ინგლისის მუშებს პარლამენტში არა ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენელი და მუშათა ინტერესების დაცვას რადიკალებისა და ლიბერალების პარტიებს ანდობდნენ.

ბერნსი ღარიბ ოჯახში დაიბადა და სიღატაკე თავის ზურგზე გამოსცადა. ტომით შოტლანდიელია, მაგრამ ლონდონშია დაბადებული და ლონდონის ერთ უბნის წარმომადგენლად ითვლება. ათის წლისა რომ გახდა, ძალაუნებურად, სიღარიბის გამო, სკოლას თავი დაანება და სანთლის ქარხანაში შევიდა; მერე ერთს ინჟინერს მიაბარა და პრაქტიკულად მექანიკა შეისწავლა.

ცხოვრება ძალიან უჭირდა; ჯამაგირად რაღაც გროშები ჰქონდა და ამიტომ კვირა-უქმეობით რესტორანში მუშაობდა. ჯონი მეტად ცნობის-მოყვარე ბავშვი იყო და ყოველ გადარჩენილ კაპეიკს წიგნებს ახმარებდა. მაგრამ რადგან თავისუფალი დრო არა ჰქონდა, ამიტომ ძილს იკლებდა, თითქმის სულ არ ისვენებდა და ამ დროს წიგნების კითხვას ანდომებდა. „კარლოს მე-XII ბიოგრაფიამ,—ამბობდა ბერნსი,—უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე; გაჭირვების დროს მამხნევებდა, იმედს მაძლევდა. ათის წლისა ვიყავი, რომ ეს წიგნი წავიკითხე. მე მისმა გამარჯვებამ კი არ გამიტაცა, არამედ მისმა გმირულმა და მტკიცე ხასიათმა. კარლოს მე-XII-ს ისტორია მარწმუნებდა, რომ კაცმა ფიზიკური სისუსტე და ტკივილი უნდა მოითმინოს, სძლიოს და ყოველგვარს უბედურებას—სიცივესა და სიცხეს—ისე უნდა შეეჩვიოს, რომ მათი ძალა სრულიად არ იგრძნოს და გულგრილად აიტანოს. გმირი ის არის, ვინც თავის ხორცს ჰკუას დაუმორჩილებს და ისე გასწრთვნის, როგორც ფოლადს. ასე ვფიქრობდი პატარაობისას და ჩემს გმირს ვბაძავდი. ამასობაში მართლა ისე შევეჩვიე სიცივესა და სიმშილს, რომ აღარავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი ჩემს ტანისამოსსა, სადგომსა და საჭმელსა".

იმ დროს ისეთ ღარიბ-ღატაკ მუშას, როგორიც ბერნსი იყო, ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ის პარლამენტში შევიდოდა დეპუტატად. ბერნსი ღარიბი იყო, აურაცხელი დამცირება და შავი დღე გამოიარა, მაგრამ ყველა ამას არ გაუბოროტებია იგი. ისტორიულ და პოლიტიკურ-ეკონომიურ წიგნების კითხვით ის ღრმად დარწმუნდა, რომ არსებული წეს-წყობილება მეტად უსამართლო იყო და, მაშასადამე, უნდა შეცვლილიყო. დიდი გავლენა იქონია მისს აზროვნება-მოქმედებაზე ლონდონში გადმოხვეწილმა პარიზელმა კომმუნარმა დელაგემ, რომელმაც ბერნსი კომმუნართა ბანაკში გადაიყვანა.

ცოტა ხნის შემდეგ ბერნსი აფრიკაში წავიდა, იქ ორიოდე წელიწადი დაჰყო ქარხანაში და 1878 წელს ისევ ინგლისში დაბრუნდა. აფრიკაში თეორიულად ვითარდებოდა, გონებას იხსნიდა და თანდათან ცოდნის სალაროს იმდიდრებდა. უკან დაბრუნებისას ევროპის კონტინენტზე შეუხვია, რამდენიმე თვე დარჩა და ადგილობრივ შეისწავლა მუშათა მოძრაობა და მდგომარეობა. ამ დროს ინგლისის მუშები ორ დარგად იყვნენ დაყოფილნი: სოციალ-დემოკრატთა ფედერაცია და ფაბიანის საზოგადოება. ამ პარტიების განუწყვეტელმა აგიტაციამ ის ნაყოფი მოიტანა, რომ მთავრობამ და საზოგადოებამ მუშათა ყოფა-ცხოვრებას ყურადღება მიაქციეს. თავიანთ ინტერესების დასაცველად ინგლისის მუშებს, დიდი ხანია, შედგენილი ჰქონდათ კავშირები, ტრედ-უნიონები, მაგრამ ამ კავშირებში შესვლის ნება ჰქონდათ მხოლოდ ნასწავლ და გამოცდილ მუშებს; უბრალო, უსწავლელ მუშათა უმეტესობა კი თავის ანაბარად იყო დარჩენილი; ბერნსმაც სწორედ ამ მუშებს მიაქცია ყურადღება და მათი შეკავშირება განიზრახა. ამ აზრით მუშებს აგროვებდა, მიტინგებს მართავდა და თავის აზრებს ავრცელებდა. ერთ ამისთანა მიტინგის დროს ლაპარაკობდნენ ბერნსი და ნორტონი, რომელიც შემდეგში განთქმული პოლიტიკური მოღვაწე გახდა ავსტრალიაში. სწორედ ამ დროს მოვიდა პოლიცია და ორივენი დააპატიმრა. ბერნსი ძალით პოლიციაში წაიყვანეს; მისი ბედიც სწორედ ამ დღეს გადასწყდა. ბერნსს პატარაობიდანვე უყვარდა ერთი ქალი, მაგრამ ამ გრძნობას მალავდა, რადგან თანაგრძნობის იმედი არა ჰქონდა. ქალმა დაინახა პოლიციის ძალმომრეობა და ისეთი თანაგრძნობით გაიმსჭვალა ბერნსისადმი, რომ ცოტა ხნის შემდეგ თავისი გული გადაუშალა და სამუდამოდ დაუკავშირდა. გაჭირვების დროს ეს ქალი ერთად-ერთი იმედი და თანამგრძნობი იყო ბერნსისა.

ქორწილის შემდეგ ბერნსი ხელმეორედ წავიდა ევროპაში, შემოიარა საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია და ზედმიწევნით შეისწავლა კაპიტალისა და შრომის საქმე; მერე ისევ ლონდონში დაბრუნდა, ერთ ქარხანაში დღიურ მუშად შევიდა და ისევ მუშათა კავშირების შედგენას შეუდგა. მისი მიზანი ის იყო, რომ კონტროლი იმ უბნების თვითმართველობისა, სადაც მუშები სცხოვრობდნენ, მუშებისავე ხელში ყოფილიყო. პირველი თავისი სიტყვა წარმოსთქვა აურაცხელ ხალხის წინაშე და გამოაცხადა თავისი პროგრამა, რომელმაც შემდეგში მთელი ქვეყანა აალაპარაკა. ის იწვევდა დღიურ მუშებს შესაერთებლად და კონკურენციით გამოწვეულ სამუშაო ხელფასის დაწევის ასაცილებლად შეკავშირებას ურჩევდა. კონკურენციასთან საბრძოლველად მუშებს უნდა შეედგინათ შესაფერი პროფესიონალური კავშირები, ეს კავშირები უნდა შეერთებულიყვნენ, საერთო ძალ-ღონე მოეკრიბათ და ამ გზით პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებანი მოეპოვებინათ. ბერნსის მჭევრმეტყველებამ, გულწრფელობამ, მისმა ენის სიმახვილემ და იუმორმა აურაცხელი მსმენელი მოაგროვა. ორატორს პირველსავე კრებაზე რამდენიმე მანათი მოუგროვეს და უბრალო ყუთის მაგივრად ნამდვილი ტრიბუნა უყიდეს. ამ დღიდან ბერნსმა სახელი მოიხვეჭა კარგის ორატორისა და ხალხის მეგობრისა. ცოტა ხნის შემდეგ ისეთი პატივისცემა დაიმსახურა ყველასაგან, რომ იმის ლაპარაკს ყოველთვის რამდენიმე ათასი კაცი სულ-განაბული უგდებდა ყურსა.

ბერნს მკაფიო და მძლავრი ხმა აქვს. ყველა, ვინც კი მოისმენს იმის ლაპარაკს, მაშინვე დარწმუნდება, რომ ბერნსი საუცხოო სახალხო ორატორი და პოლიტიკური აგიტატორია.

ბერნსის სულ იმას ცდილობდა და ქადაგებდა, რომ მუშათა კლასის ცხოვრების გაუმჯობესება კანონმდებლობით უნდა მოხდეს და პოლიტიკურ-სამრეწველო სისტემა უნდა შეიცვალოსო. ბერნსის ენერგიულმა, მხნე მოქმედებამ და ძლიერმა აგიტაციამ კონსერვატორთა პარტიისა და მთავრობის ყურადღება მიიქცია, მაგრამ ბერნსი დევნასა და საყვედურს ყურადღებას არ აქცევდა. „მე სიმართლის მეტს არას ვთხოულობ,—ამბობდა ბერნსი,—ყველა ინგლისელი მოვალეა ყურადღება მიაქციოს იმ ბოგანოთა არმიას, რომელიც ინგლისს კეთილ-დღეობას ანიჭებს". ბერნსმა მოახერხა და შეაკავშირა დღიური მუშები, რომელთაც ტრედ-უნიონებისავით ერთმანეთისათვის მარტო დახმარება კი არ უნდა აღმოეჩინათ, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც მოეპოვათ და ინგლისის საზოგადოებრივ აზრზე გავლენა ჰქო-

ეჰზის ბ-ნ მოვლ-ზადეს წინადადებით დეპეშები გაუგზავნეს: ბაქოში ცნობილს ქველმოქმედს ჰაჯი-ზეინალ აბდინ თაღიევს და ცნობილ პუბლიცისტებს, ბ-ნ თოპჩიბაშევს, ჰუსეინ-ზადეს და მოხუც პუბლიცისტს ჰასან-ბეგ მელიქოვს.

თაღიევის სახელზე დეპეშა შემდეგის შინაარსისაა: „შევიყარენით რა სადილზე, რომელიც გაუმართა ტფილისის მაჰმადიანთა საზოგადოებამ გაზეთ „ჰაიათ“-ის რედაქტორს ახმედ-ბეგ აღაევს, სალამს გიძღვნით თქვენ, როგორც კეთილშობილ ქველმოქმედს, ინიციატორსა და მოღვაწეს კავკასიის მაჰმადიანთა კულტურულ განვითარების საქმეში“.

ამ დეპეშაზე ხელი უწერია 54 კაცს. ბ-ნთ მელიქოვს, თოფჩიბაშევსა და ჰუსეინ-ზადეს გაუგზავნეს ერთისა და იმავე შინაარსის დეპეშა: „შევიყარენით რა სადილზე, რომელიც გაუმართა ტფილისის მაჰმადიანთა საზოგადოებამ გაზეთ „ჰაიათ“-ის რედაქტორს ახმედ-ბეგ აღაევს, სალამს გიძღვნით თქვენ, როგორც ღირსეულს ხელმძღვანელს კავკასიის მაჰმადიანთა კულტურულ განვითარების საქმესა და მათ ინტერესების დაცვაში“.

◆ სამშაბათს, 19 ივლისს, ფუნიკულერის დირექტორმა გეიდემანმა და ინჟინერმა ბლაშმა, მაზრის უფროსის თანაშემწე ე. გუგუშვილთან ერთად დაათვალიერეს გზა, ფუნიკულერიდან დაწყებული ვიდრე კოჯრამდე, რომელზედაც უნდა გაიაროს ვიწრო ლიანდაგიანმა ელექტრონის ტრამვაიმ. ყველაზე დიდი მამული, რომელიც ფუნიკულერის ამხანაგობამ უნდა შეისყიდოს, ეკუთვნის ს. ა. ბებუთიშვილს.

◆ **ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა წესდება „ტფილისის საზოგადო სახელოსნო გამგეობასთან არსებულ სამარხ კასისა“:**

კასის წევრებად მიიღებიან როგორც ტფილისის ყველა ხელოსანნი, აგრეთვე არა-ხელოსანნიც, განურჩევლად სქესისა, 55 წლამდის. კასაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ: არა სრულ-წლოვანთ, მოსწავლეთ, დაბალ ჯარის-კაცებს და სასამართლოსგან უფლება-შეზღუდულთ. კასა შესდგება ორის ჯგუფისაგან: პირველში ჩაირიცხებიან წევრნი-დამფუძნებელნი და ყველა ისინი, რომელნიც მოისურვებენ ყოველ წლივ კასის გასაძლიერებლად თითო მანათის წარდგენას. მეორეში დანარჩენნი, რომელთაც ათ-ათი შაურის შეტანა დაეკისრებათ. კასა იწყებს მოქმედებას, როდესაც პირველ ჯგუფში 200 წევრი ჩაეწერება—მეორეში კი 100. ყოველმა წევრმა კასაში ჩარიცხვისათანავე უნდა გადაიხადოს მთელის წლის შესატანი: I ჯგუფისამ 1 მანათი—მეორისამ ათი შაური. თუ კასის რომელისამე წევრის მოქმედება არღვევს კასის მოთხოვნილებებს, შეიძლება გამორიცხულ იქმნას წევრობიდან საზოგადო კრების დადგენილებისამებრ, იმ პირობით კი, რომ დამნაშავეს თავის გამართლების შეძლება მიეცეს. კასაში შეტანილ ფულის დაბრუნება აღარ შეიძლება.

პირველ ჯგუფის გარდაცვალებულ წევრს კასიდან ეძლევა დასამარხავად 50 მანათი, მეორე ჯგუფის ხელოსან წევრს—25 მანათი. დასამარხ შემწეობას კასა აძლევს არა უგვიანეს 24 საათისა წევრის გარდაცვალების ამბის მიღების შემდეგ. კასის საქმეთა წარმოება ევალება საზოგადო კრებას კასის წევრებისას, ანუ მათ წარმომადგენელთ და გამგეობას. საზოგადო კრებას იწვევს გამგეობა. კასის მმართველობა იმყოფება ქ. ტფილისში, ტფილისის საზოგადო სახელოსნო გამგეობაში. გამგეობის წევრნი და მათი კანდიდატები პასუხს აგებენ, თუ თავისი მოქმედებით კასას ზარალს მიაყენებენ.

◆ მეათე საპოლიციო ნაწილში, ფეიერვერკის ქუჩაზე, №3, პოლიციას შეუპყრია ყოფილი ნოქარი ქალი პროსკოვია მიხაილოვისა. როგორც გამოძიებამ გამოარკვია, ეს ქალი ქ. ერევნის მკვიდრ ალექსანდრე სოლომონოვთან სცხოვრობდა. ამ წლის ხუთ აპრილს მიხაილოვის ქალს მოუპარავს სოლომონოვისთვის 175 მ. ნივთები და ტფილისში გამოპარულა. სოლომონოვი მიხაილოვის ქალს 1200 მანათს ნახარჯს უჩივის. საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი. უმთავრეს დამნაშავედ სპარსელს მამედ იმამალოვს ასახელებენ, ამან მოაწყო ეს საქმე.

◆ ორშაბათს, 18 ივლისს, ღამით, ერევნიდან ტფილისში ჩამოსულს ორს სომეხს მესამე კლასის ზალაში ღამის გათევა დაუპირებიათ, მაგრამ ბუფეტის პატრონს ნება არ მიუცია. ყმაწვილებს გარედ, ბაქანზე, დაუძინიათ. ძილის დროს, ვიღაც ბოროტ განმზრახველთ, რაც რამ ებადათ, ყველაფერი აუცლიათ. დილით ჟანდარმებს ოქმი შეუდგენიათ, მაგრამ, რაღაც მოსაზრებით, **ისევ დაუხევიათ**. ღვთის ანაბარად დარჩენილებს ბევრ ვისმესთვის მიუმართავთ, მაგრამ ყველასაგან ცივი უარი მიუღიათ.

◆ როგორც ხევსურეთიდან გვატყობინებენ, ქისტებსა და ხევსურებს ისე **შეუწუხებიათ მეცხვარეები**, რომ იძულებულნი გამხდარან მიეტოვებინათ ხევსურეთის მთები და დუშეთის მაზრის ვიწრო მთებში გადმოსულიყვნენ.

◆ იქიდანვე გვატყობინებენ, რომ ხევსურებს სამღვდელოებისთვის წინადადება მიუციათ—**ხევსურეთიდან წადითო**.

◆ თერგის ოლქიდან გვატყობინებენ, დაბა არდონში „ერთობამ“ იქამდის გაიტაცა ოსები, რომ მექრთამეობითა და გარყვნილობით განთქმულის ერთის ბლაღოჩინის მოკვლა განიზრახეს. ეს ბლაღოჩინი სიკვდილს კაზაკებმა გადაარჩინეს.

სადღეისო

უგულონი... მშიშარანი...

(ერთი კაცის დღიურის მეხუთე ფურცელი).

გუშინ მეწვივნენ ჩემი ნაცნობები და მთხოვეს: „შენი დღიური წაგვიკითხეო“.

მე ვიცი, რომ იგინი თვალთმაქცობდნენ!

ჩემი დღიურის ჯავრი სრულებითაც არა ჰქონიათ. მათ უნდოდათ გაეგოთ ჩემი გულისთქმა, ჩემი აწმყო მდგომარეობა, რომ მერე სალაყბოზე გამოეტანათ, ყბად აეღოთ.

უგულონი... მშიშარანი... მეტს რას მოახერხებენ?

ეტყვი რამეს?—კიდეს გამოაბამენ, დაიჩივლებ რამეს?—ორჭოფად შემოგხედავენ და, თუმცა ყურს გიგდებენ, მაგრამ თან შიშით აქეთ-იქით იხედებიან,—მეეზოვე ხომ არ გვიმზერსო.

უგულონი... მშიშარანი მაინც ადამიანებად ითვლებიან!

ერთს მათგანს ხომ თავისი-თავი ადამიანზედაც მეტი ჰგონია.

შეიძლება დიდი ვინმეც იყოს, მაგრამ ერთი რამ აკლია: გული, გრძნობა არა აქვს. ქვეყანა რომ გადაბრუნდეს, აინუშშიაც არ ჩაიგდებს, მთელი ქალაქი რომ გადაიწვას, იმას გროშის ზარალიც არ მოუვა და ამიტომ გულ-გრილად შეჰყურებს სხვის უბედურებას, სხვის დაჩაგვრასა და დამცირებას!

სიტყვით კი დიდი ლიბერალია!

მაგრამ ლიბერალობაც მარტო გათავისწინებულს, ან თავისს მეგობართა შორის უყვარს. თუ დარწმუნებულია, რომ გარეშე ვინმე ყურს არ უგდებს, იგი მჭევრ-მეტყველების წყაროდ გარდაიქცევა, მაგრამ თუ ჰგონია, რომ მას მისი სიტყვა წინ დახვდება, მაშინ მუნჯდება, სიტყვებსა ჰყლაპავს და მარტოოდენ ბატივით-ღა სისინებს...

მაშინ მას ავიწყდება ყველაფერი, თავის თავისა და თავის კეთილ-დღეობის გარდა...

—აუტკივარი თავი რათ უნდა ავიტკივოო!

ეს არის მისი ცხოვრების ფილოსოფია!

აკი ამიტომაც ჰქვიანის კაცის სახელი აქვს დავარდნილი!

ისეთი საზოგადოებრივი დაწესებულება არ არის, რომ მას არ ირჩევდნენ ან მდივნად, ან ხაზინადრად, ან საპატიო წევრად.

ასე გასინჯეთ, იგი „კავკასიაში რუსების დამსახლებელ სამართველოს“ წევრადაც კი ითვლება, თუმცა დიდი ქართველი პატრიოტია!

ყველას მოსწონს იგი, ყველას უყვარს, მაგრამ მე კი... არ ვიტყვი, რომ მძულს-მეთქი, იმიტომ რომ სიძულვილის ღირსი მხოლოდ ის პირობებია, ის ცხოვრებაა, რომელიც ამგვარ ხალხსა ჰქმნის, მაგრამ არც მიყვარს, მე იმისი არა მწამს რა და არც შემიძლია გავუზიარო ჩემი გულის ნადები.

სულერთია, ყოველივე ჩემს გულწრფელს სიტყვას იგი საბურთაოდ გაიხდის და შემდეგ ისე ამოსვრის ტალახში, ისე შეაკეთებ-შემოაკეთებს, რომ ჩემს სიტყვას მეც ვეღარ ვიცნობ, თუმცა მთელი ქვეყანა უკვე დარწმუნებული ჰყავს, რომ იგი სიტყვა ჩემი ნათქვამია.

სწორედ ამიტომ არ ვაჩვენე ჩემი დღიური.

დამენდურა, ცხვირ ჩამოშვებული წავიდა ჩემგან.

—არა გრცხვენიან, მეგობარო, გამაწბილეო! მომაძახა კარებში და უმანკოსავით თავჩაღუნული გზას გაუდგა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ, როდესაც ჩვენი ქუჩის კუთხეს მოეფარებოდა, გულიანად გადიხარხარებდა, შემომიკურთხებდა.

ამ რწმენამ გული ამიმღვრია.

მოვუჯექი მაგიდას, გადავშალე ჩემი დღიური და საწერათ მოვემზადე.

მაგრამ ვიდრე გულის ნაღველს მელნად გავლესავდი და ძარღვებს ჩემის აფორიაქებულის არსებისას კალმად მოვიმარჯვებდი,—თვალ წინ დამიდგნენ ყველა ჩემი ნაცნობ-მეგობრები.

ადამიანი უადამიანოდ არ ვარგა, ადამიანი ადამიანით იცნობა, ადამიანი ადამიანს მაინც ვერსად გაექცევა.

უტოლოდ ჭიაც არა სცხოვრობს და უსწოროთ ხეც კი არა სდგას ტყეში!..

მაგრამ... არის ისეთი წუთები ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც იგი თავის თავს მარტოდმარტო გრძნობს, როდესაც „სული ობოლი“ ოხვრით ალამებს დღეს და ტანჯვით ათენებს ღამეს, როდესაც მზად არის თითოეულ ხეს, თითოეულ ბუჩქს თითოეულ ბალახს შესჩივლოს გულის ნადები, რომ სევდა გაიქარვოს, გულის ვარამი ამოანთხოს, სიცოცხლე თვისი კასწუროს და გული თვისი საქაჯავში ჩასდოს, რომ მისგან გამონაწური წმინდა, სინანულისა თუ უილაჯობის ცრემლები, ციურ ცვარად აბკუროს ყვავილ-ბალახთ, გულ წრფელობათა და ადამიანობის ნადუღად მოევლინოს მთელ მიდამოს, მთელ სამყაროს.

ასეთ წუთებში ძნელად მონახავ ისეთ ადამიანს, რომელმაც შენი გულის ტკივილი დააფასოს, რომელმაც გიჟი არ დაგიძახოს.

ცხოვრება პროზაა და პოეზიას მარტო სანელებლად ხმარობენ.

სათამაშოდ გავხდომივარ მეც ჩემ „მეგობრებს“!

ვინ იცის, რამდენჯერ უბურთავებიათ ჩემი გრძნობა, რამდენჯერ უთელნიათ ჩემი გულწრფელი სიტყვა.

იგინი მე სარგებლობის თვალით მიყურებდნენ და თავის პროზაიკულის, გულცივობის ალღით მზომავდნენ...

და მეც ჩამოვშორდი მათ.

მე იმათ ვეცოდები, მე კი მებრალებიან იგინი, მებრალებიან, როგორც მონანი თავისის თავისა, მონანი საზოგადოებისა, მონანი კუჭისა, მონანი ქონებისა, მონანი უფროსებისა, მონანი ცხოვრებისა, მონანი გაძაღლებულის სიცოცხლისა.

მე მარტო ჩემს დღიურს ვენდობი!

დღიური! უბრალო კონა ქაღალდისა სხვას სასაცილოდაც არ ეყოფა, მაგრამ მე კი?...

ოხ, დღიურო, დღიურო! მესაიდუმლევ ჩემის არსებისა და მტვირთველო ჩემის ტანჯვისავ, მარტო შენა ხარ ჩემი ერთგული!

ოდესღაც კი... მყავდა მეგობრები, მწამდა მათი გულწრფელობა, მათი ზრუნვა ქვეყნისათვის, მაგრამ...

ერთხელ შევკრიბე იგინი და ჩემი უბედურება ვუამბე:

ჩვენებიანთ ტყეში-მეთქი—ერთმა პირმყრალმა დათვმა ბინა დაიდო. ყველა უვნებელი ნადირი დახოცა, ქორაფები გაანადგურა, ახლო-მახლო მინდვრები დასთხარა, სკები დატვლიპა, ფუტკრები გასწყვიტა, მშვლები დაფათრა, მშვლის ნუკრები გადასანსლა, ქვეყანა აახრა.

ახლა წყაროს თავში ბუნაგი გაიკეთა და მთელი წყარო ააყროლა. ადამიანს აღარ დაელევა ამ წყაროს წყალი. მას შემდეგ, რაც აქ დათვი დაბანაკდა, ბალახმაც კი ვეღარ იხეირა. დათვისაგან გაფათრულ ცხოველების სისხლი ამ წყაროს წყალს ერთვის, იშხამება, იწამლება და ყვავილ ბალახსაც ახმობს.

დედა წუწურვილით მიკვდება, ბავშვები შიშით მებოცებიან, თავგზა ებნევათ, რეტიანდებიან.

მიშველეთ რამე, ყმაწვილებო! ავიღოთ თოფები, შემოვერტყათ ტყეს, დავცეთ ყიჟინა, შევუხჩოლოთ ბუნაგში, ამოვაღრჩოთ დათვი, მოვკლათ იგი, გავანთავისუფლოთ ჩვენი წყარო, გავწმინდოთ მისი წყალი, გავახაროთ ყვავილები, წუწურვილი მოვიკლათ.

აბა, ბიჭებო! რას იტყვით-მეთქი—დავასრულე ჩემი თხოვნა. მეგობრებმა ერთმანეთს შეხედეს და ულვაშებში ჩაიცინეს.

ერთმა მათგანმა შუბლზედაც კი ხელი დამადო: სიცხე ხომ არა აქვსო.

მე გაშტერებული დავრჩი.

—რას მიედ-მოედები, განა სხვა წყარო არ არის, რომ მთის ნაკადულისათვის დათვს თავი არ შევაკლათო,—სთქვა ერთმა და კარებისაკენ დაიწია,

—მოცლილი კაცი რას არ იფიქრებსო—დაუმატა მეორემ და ისიც კარებისაკენ ჩამოდგა.

—მე... წყალიც ბევრი მაქვს და პურიცაო,—ჩაურთო მესამემ და ესეც თავის ამხანაგებს მიემატა.

—წავიდეთ აქედან, თორემ ეს სულელი კლდეზე გადაგვჩეხავსო,—გადაიხარხარა მეოთხემ, ყველას ხელი მოხვია და გარედ გაიყვანა.

დავრჩი მარტოკა. ჩემი ვარამი სასაცილოდაც არ ეყოთ.

უგულონი... მშიშარანი! მაშინ თავისს თავს გაუფრთხილდნენ და ახლა კი დღიურის წაკითხვა მომინდომეს.

უკეთურებს ჩემი დღიური თავისი გასართობი თუ ჰგონიათ?

ია ეკალაძე.

რუსეთი

რუსეთის კულტურა. ამბობენ, ამა თუ იმ სახელმწიფოს განათლება ფოსტით განიზომება. საინტერესოა აქ მხრივ რუსეთისა და გერმანიის შედარება. გერმანიაში 56 მილიონი მცხოვრებია, რუსეთში კი 140 მილიონი. გერმანიას აქვს 46,268 საფოსტო კანტორა, რუსეთს კი—12,450. გერმანიის ფოსტაში მსახურებს 241,967 კაცი, რუსეთში კი—57,962. გერმანიის ფოსტა წელიწადში ჰგზავნის 4½ მილიარდ წერილს, რუსეთისა კი—837 მილიონს.

პრუსსიას, სადაც 35 მილიონი მცხოვრებია, შემნახველ კასსებში აქვს თითქმის 4 მილიარდი მანათი ხალხის ფული, რუსეთს კი ერთი მილიარდიც არა აქვს, ასე რომ, გერმანელი შავის დღისთვის 15-ჯერ მეტს ინახავს რუსსზე. ას მცხოვრებზე დანიაში 50 კაცი ინახავს ფულს, საფრანგეთში—29, რუსეთში კი—3. კარგი საზომია კულტურისა გარდაცვალებულთა რაოდენობა პროცენტობით. აი, ბერლინისა და მოსკოვის შედარებაც: ბერლინში, სადაც 2 მილიონი მცხოვრებია, 1903 წ. მუცლის თან გადაუტანია 63 კაცი, მოსკოვში კი, რომელიც ბერლინზე ორჯერ პატარაა—206 კაცი; სხვადასხვა ავადმყოფობისაგან ბერლინში იმავე წელს მოკვდა 918 ბავშვი, მოსკოვში კი—1686. მუცლით ავადმყოფობას ბერლინში თან გადაუტანია 2147 კაცი და ბავშვი, მოსკოვში კი—7,264. (რ. ვ.).

◆ „მატენის“ კორესპონდენტი პეტერბურგიდან დეპეშით იუწყება: გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი მეტად შეწუხებულია რუსეთში **რევოლუციის გაძლიერების გამო** (ნოვ.).

◆ რუმინიაში უგზო-უკვლოდ დაიკარგა 23 მატროსი ჯავშნოსან „პოტიომკინის“. ამბობენ, ეს მატროსები **რუსეთის აგენტებმა დაათვრეს**, მერე გემზე წაიყვანეს და რუსეთში გაიტაცეს. რუმინიაში შესდგა რამდენიმე კომიტეტი, რომელთაც „პოტიომკინის“ მატროსები უნდა დაიცვან (რ. ს.).

◆ ოფიციალურ „ფინლ. გაზეტა“-ში, სხვათა შორის, დაბეჭდილია: ახლა კი საბოლოოდ გამოირკვა, რომ ფინლიანდიის **სარევოლუციო პარტია** რუსეთის რევოლუციონერებს შეუკავშირდა და ბრძოლის იარაღად ყუმბარები და რევოლვერები აღიარა. ამ დღეებში გამოვიდა ამ პარტიის გაზეთი „თავისუფლება“, რომელიც პოლიტიკურ მკვლელობას აქებს, მკვლელებს აქეზებს და ზოგიერთ გუბერნატორებსა და პოლიციელებს სიკვდილით დასჯას უწყვეტავს. ამ

ნოდათ. ბერნსის პროგრამის თანახმად, შეკავშირდნენ ნავთსადგურებისა, რკინის გზებისა, გაზის ქარხნებისა, სავაჭრო გემებისა და სოფლის მუშები. ბერნსის პროპაგანდამ გავლენა იქონია აგრეთვე ძველ ტრედ-უნიონებზე.

ბერნსმა ლონდონის მუშათა შორის ისეთი ნდობა მოიპოვა, რომ იმის ერთის სიტყვით ყველაფერს ასრულებდნენ. როცა მთავრობამ საგრაფოს (ადმინისტრატიული ერთეულია, ჩვენს გუბერნიას უდრის) მართვა-გამგეობაში დიდი ცვლილება შემოიღო, ბერნსი თითქმის ერთხმად აირჩიეს საგრაფოს საბჭოს წევრად. ეს თანამდებობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამავე საბჭოს წევრებად ირიცხებოდნენ განთქმული ლიბერალ-იმპერიალისტი ლორდი როზბერი და ცნობილი მწერალი ჰარრისონი.

თვითონ ბერნსი არც ამ საბჭოს წევრობის შოვნასა და არც პარლამენტში დეპუტატად არჩევას არ ცდილობდა. მან დააარსა მუშათა ლიგა, რომლის საშუალებითაც საზოგადოდ მუშებისთვის პოლიტიკურ და მოქალაქობრივ უფლებათა მოპოვება უნდოდა. მას შემდეგ, რაც ბერნსი დეპუტატად და საგრაფო საბჭოს წევრად აირჩიეს, მუშათა პოლიტიკურ უფლებებსაც დაეტყო ზრდა. მაგალითად, ლონდონის უბნის, ბატერსის თვითმართველობაში 1894 წელს 120 ხმოსანი ირიცხებოდა, მათ შორის 64 მუშა იყო. ამას ის მოჰყვა შედეგად, რომ ამჟამად მუშათა უბანი ბატერსი მთელს ლონდონში საუკეთესო უბანია საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის მხრით. სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესობის გამო გარდაცვალებულთა რიცხვმა 33%-ით იკლო. ბატერსში გამართულია სამი საზოგადო ბიბლიოთეკა, აბანოები, თავშესაფარები და სხ.; იქაური სახელოსნოები საუკეთესოა მთელს ინგლისში. იქაური საზოგადო ბაღი ლონდონის არც ერთს ბაღს არ ჩაუვარდება. ბატერსის აქვს საკუთარი, მშვენივრად მოწყობილი პოლიტეხნიკუმი და მრავალი საშუალო და დაბალი სასწავლებლები.

1884 წლამდის ბერნსს თავის უბნის გარეშე თითქმის არ იცნობდნენ. პირველად ბერნსმა სახელი გაითქვა ლონდონის კონფერენციაზე, რომელიც სამუშაო ხელფასის გამოსარკვევად შესდგა. ამ კონფერენციაზე ერთმანეთს შეეჯახნენ ინგლისის პირველი მინისტრი არტურ ბალფური და ბერნსი, რომელიც იმ დროს უბრალო, 26 წლის მუშა იყო. როცა ბერნსმა ლაპარაკი დაიწყო, ყველამ ყურები ცქვიტა, ყველა დაინტერესდა და კითხულობდა ვინაობას ახალგაზდა ორატორისას, რომელიც კაპიტალიზმის წინააღმდეგ ცეცხლს აფრქვევდა. ბერნსმა პასუხი გასცა ბალფურს, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ კაპიტალს ზნეობრივად უნდა შევებრძოლოთო. „როგორ თუ ზნეობრივი ბრძოლა?—წამოიძახა ბერნსმა.—თქვენ მალე იმასაც იტყვით, რომ გველეშაპებსა და ვეფხვებსაც ზნეობით უნდა მოვჰრათ კბილები!“

მარქსის შეგირდის ჰაინდმანის-მიერ შედგენილმა სოციალ-დემოკრატიის ფედერაციამ 1885 წელს ბერნსს წინადადება მისცა, დეპუტატის ყუთი დაიდგითო. აგიტაცია მუშათა შორის გავრცელებული არ იყო, ასე რომ ბერნსის არჩევა მეტად ძნელი იყო, მაგრამ ბერნსმა მაინც დაიდგა ყუთი და გაშავდა.

ბერნსი კარგა ხანს უსაქმოდ დადიოდა. მრეწველებმა სახიფათოდ სცნეს მისი მოძღვრება და ბოიკოტი გამოუცხადეს, მაგრამ ბერნსმა კომპრომისები არ იცოდა. გარედ დარჩა, სამუშაო არ ჰქონდა, ცხოვრება გაუჭირდა, მაგრამ მრეწველებს მაინც არ დაუთმო, ბოგანოთა არმიას შეუერთდა და ყველგან, სადაც კი მოუყრიდა თავს ულუკმაპუროდ დარჩენილთ, გატაცებით ლაპარაკობდა, ცეცხლს აფრქვევდა და თავის ჯარს თანდათან ადიდებდა. ბერნსი მალე მუშების საყვარელი ორატორი შეიქმნა. სადაც ის იყო, იქ ათი-ათასობით იყრიდნენ თავს მუშები.

1886 წელს ვაჭართა ორ საზოგადოებას ჰაიდ-პარკში, სადაც განუწყვეტლივ სახალხო კრებები იმართება ხოლმე, სახალხო მიტინგი ჰქონდა. აუარებელი ხალხი შეიკრიბა. ბერნსმა და ოთხმა სოციალ-დემოკრატმა ამ შემთხვევით ისარგებლეს და აგიტაცია გამართეს. ბერნსმა, რასაკვირველია, ხალხის ყურადღება მიიზიდა, ააღელვა და წინ გაუძღვა. ხალხი ტრაფალგარის მოედნისაკენ დაიძრა. ყველაფერი რიგზე მიდიოდა. როცა ხალხი კონსერვატიულ კალტონ-კლუბთან მივიდა, კლუბის ფანჯრებიდან ქარაფშუტა მდიდრებმა მუშები მასხარად აიგდეს. ხალხი აღელდა და რამდენისამე წუთის შემდეგ ორი კლუბი და რამდენიმე სახლი სულ მტვრად აქცია. ბერნსი ძალიან ეცადა ხალხის დამშვიდებას, ნახევარი დაამშვიდა და შინ გაგზავნა, მაგრამ დანარჩენებს პოლიციასთან შეტაკება მოუვიდათ. ამ არა-ჩვეულებრივმა ამბავმა მთელს ლონდონს თავზარი დასცა. მაშინვე ხმა გავრცელდა, პროლეტარიატი აჯანყდა და რევოლუციის მოხდენას აპირობსო. იმ ღამეს მთელს ლონდონში თითქმის არავის ეძინა, მაგრამ, რასაკვირველია, არაფერი მომხდარა. მეორე დილას მშიერი ბერნსი ქალაქში დადიოდა და სამუშაოს ეძებდა. ქუჩაში შეეჩეჩნენ გაზეთების დამტარებელნი, რომელნიც ყველგან უშველებელ ასოებით დაბეჭდილ განცხადებებს აკრავდნენ. განცხადებაში ეწერა: „დენტფორდიდან 60,000 მუშა ჯონ ბერნსის მეთაურობით ლონდონის ასაკლებად მოდის. ლონდონს დიდი საფრთხე მოელის ამ აგიტატორისაგან“. ჯონ ბერნსი კი სწორედ ამ დროს მშიერ-მწყურვალი ლონდონში დადიოდა და სამუშაოს ეძებდა. მაგრამ ამ სულელურმა ქორებმა მაინც ნაყოფი გამოიღო. მთავრობამაც დაიჯერა, რომ ლონდონს უსახლ-კაროდ დარჩენილ ბოგანოებისგან საფრთხე მოელის და სოციალისტთა ფედერაციის მეთაურებსა და, უფრო კი ჯონ ბერნსს, თვალყურის გდება დაუწყო. ცოტა ხნის შემდეგ ბრძანება გამოიცა ბერნსის დაპატიმრების შესახებ. ბერნსი სამართალში მისცეს, მაგრამ მთავრობა სავსებით დამარცხდა, რადგან სასამართლომ ბერნსი გაამართლა. იმის გამართლებას ბევრი უშველა განთქმულმა ფილოსოფოსმა ჯონ რესკინმა, რომელმაც თავის თვალით ნახა ტრაფალგარის მოედანზე მომხდარი ამბავი და თავის ნებით ჩაეწერა მოწმად. ამის შემდეგ ბერნსს მთელს ქვეყანაზე პირველ აგიტატორისა და მუშათა ბელადის სახელი გაუვარდა.

ბერნსს მეორედაც მოუხდა პოლიციასთან შეტაკება, რომელიც მისთვის უფრო ცუდად გათავდა, ვიდრე პირველი. 1886 წელს, 5 ნოემბერს, იმავე ტრაფალგარის მოედანზე დანიშნული იყო სახალხო მიტინგი. ამ მიტინგის დროს პოლიციასა და ხალხს დიდი შეტაკება მოუვიდათ, რომლის დროსაც მოკვდა ორი და დაშავდა რამდენიმე ასი კაცი. ასეთი დიდი შეტაკება ლონდონში იშვიათად მოსვლიათ პოლიციასა და მუშებს. ამ ჩხუბის დროს, სხვათა შორის, ბერნსსაც სცემეს, დაიჭირეს და სამართალში მისცეს. სასამართლომ ბერნსი გაამტყუნა და 3 თვით დააპატიმრა. ბერნსი დამწყვდეული იყო უბრალო ავაზაკთა და ჩვეულებრივ ქურდთა შორის. აქ მან კარგად გაიცნო ცხოვრების ნაფხეკნი, საზოგადოების ნაძირალნი, დავრდომილნი და დაცემულნი. მერე, როცა ბერნსი იგონებდა ხოლმე ამ საპყრობილეს, ამბობდა,—ცხოვრების საუკეთესო სკოლა საპყრობილე და საგრაფო საბჭოაო.

საპყრობილედან რომ გამოვიდა, ისევ წინანდელ გზას დაადგა და მშრომელთა ცხოვრებაში ჩაერია. ორის წლის შემდეგ ბერნსი აირჩიეს საგრაფო საბჭოს წევრად. თუ რამდენად პატივსაცემი თანამდებობა იყო საბჭოს წევრობა, ეს იქიდანა სჩანს, რომ იმავე საბჭოში წევრად ირიცხებოდა ლორდი როზბერი, რომელიც შემდეგში პირველი მინისტრი გახდა ინგლისში. ამის მიუხედავად, ბერნსი მაინც მუშათა მეთაურად დარჩა და მალე დაამტკიცა, რომ ღირსი იყო ბელადობისა. ბერნსის აგიტაციისა და მეცადინეობის გამო გაიფიცნენ ლონდონის ნავთსადგურების მუშები. ერთ დღეს მუშაობაზე ხელი აიღო რამდენმამე ასმა ათასმა მუშამ და ინგლისის ზღვაოსნობაც თითქმის შესწყდა. არც გემების პატრონები უთმობდნენ და არც მუშები. გაფიცვა ექვს თვეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ბერნსი ამ მუშებთან ერთად ცხოვრობდა, იმისი ცოლი კი დღე და ღამეს ასწორებდა და გაჭირვებულ მუშებს ეხმარებოდა. აი, სწორედ ამ დროს გაითქვა საბოლოოდ სახელი ბერნსმა, რომლის შემწეობითაც მუშებმა თავისი მოთხოვნა ისე გაიტანეს, რომ არც სისხლი დაღვრილა და არც ძალა უხმარიათ მებრძოლთ. ბერნსმა ამ გაფიცვით მშვენივრად დაამტკიცა, რომ კაპიტალთან ბრძოლა მხოლოდ შეკავშირებულ ძალას შეუძლიან და რომ ახლა, ჩვენს დროში ერთ პირად შეკრული მუშები უძლიერესი მტრები არიან კაპიტალიზმისა. ლონდონში ყოველი გაფიცვა და მუშათა მოძრაობა უეჭველად ბერნსის დახმარებითა და მეთაურობით ხდებოდა. საერთოდ ბერნსი ხელმძღვანელობდა 300-ზე მეტ გაფიცვას და ეს გაფიცვები თითქმის ყოველთვის მუშათა გამარჯვებით გათავებულა. თუმცა თავის მოქმედებით ბერნსი კაპიტალისტების წინააღმდეგ მიდიოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ბერნსს ინგლისის კაპიტალისტები დიდის პატივისცემით იხსენიებენ. ამის მიზეზი ის არის, რომ ბერნსი მეტის-მეტად გულწრფელი, სიმართლის მოყვარე, პირდაპირი და პატიოსანი კაცია. ინგლისის ბურჟუები ბერნსს უმთავრესად იმიტომ ემადლიერებიან, რომ იმის მეოხებით შრომისა და კაპიტალის ურთიერთობა და დამოკიდებულება გაფიცვების დროს არ გამწვავებულა, წესს არ გადაცილებულა და ხალხის სიცოცხლე არ მოუთხოვნია მსხვერპლად, რაიც სხვაგან და სხვა დროს თითქმის აუცილებელი მოვლენაა.

1892 წ., ამხანაგების თხოვნით, ბერნსმა ხელმეორედ დაიდგა ყუთი და დეპუტატად იქმნა არჩეული პარლამენტში. დაიწყო სამხრეთ-აფრიკის ომი. მთელი ინგლისი მილიტარიზმმა და გამარჯვების სურვილმა გაიტაცა. ინგლისის ხალხი ისე გაიტაცა ამ სურვილმა, რომ შეგნებული მუშებიც კი ჩაერივნენ ამ ფერხულში და დიდი დახმარება აღმოუჩინეს ტორიების პარტიას, რომელმაც ეს ომი დაჰბადა. თავისუფლებისა და ჭეშმარიტ დემოკრატიის პრინციპები ინგლისში თითქო ჩაქრა და ადგილი დაუთმო მხედრობას. თავის პრინციპებს არ უღალატა მხოლოდ უმცირესობამ და, მათ შორის, ბერნსმაც, რომელიც ომის წინააღმდეგ განუწყვეტლივ ცეცხლს აფრქვევდა და მილიტარიზმის მომხრეთ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა. „რომის იმპერიალიზმმა ქვეყანა ბატონებად და მონებად დაჰყო,—სთქვა ბერნსმა,—და მას შემდეგ ცეზარიზმი ავტოკრატიის სინონიმად გახდა, ბონაპარტიზმი—მილიტარიზმის სინონიმად, ჯინგოიზმი კი—სინონიმად უსულო პლუტოკრატიის ბატონობისა“.

ამით ბერნსმა მრავალი მტერი გაიჩინა, მაგრამ ის მაინც არა სცხრებოდა და ომის წინააღმდეგ მედგრად იბრძოდა. ბერნსი ამბობდა, ომის გათავების შემდეგ მილიტარიზმის მოწინააღმდეგეთა რიცხვი გადიდდებაო, და, მართლაც, ასე მოხდა. „ის 150 ათასი მოქალაქე, რომელნიც ამჟამად სამხედრო მუნდირს ატარებენ,—სთქვა ბერნსმა,—აფრიკაში ომის დროს ბურების მეგობრები გახდებიან და დარწმუნდებიან, რომ ისინი პატრიოტიზმის ინტერესებისთვის კი არ იბრძოდნენ, არამედ უსინიდისო და უსულო პლუტოკრატიისთვის“.

„ინგლისის ხალხი ბუნებითვე მეომარი კი არ არის, არამედ მოქალაქეა,—უთხრა ბერნსმა ერთ ჟურნალისტს:—ინგლისს ჯარი უნდა ჰყავდეს, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ მხედრები მოქალაქობრივ ცხოვრებაში ერევიან. ჩვენი სალდათები ისე ლაპარაკობენ, თითქო იმათ შეექმნათ იმპერია. სიცრუეა! ბრიტანიის იმპერია იმათ კი არა, მექანიკოსებმა და ინჟინრებმა შექმნეს“.

ბერნსის პოლიტიკურ პროგრამით მართვა-გამგეობის საქმეში დეცენტრალიზაცია უნდა მოხდეს და გაუქმდეს ლორდთა პალატა, რომელიც შუაზე ჰყოფს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ძალას და პროგრესს ხელს უშლის.

ბერნსი ჯერ 45 წლის კაცია. განვითარებითა და ცოდნით მეტად მაღლა სდგას, მჭევრმეტყველებითა და აგიტატორის ნიჭით ხომ მთელს ინგლისში ვერავინ შეედრება. ინგლისის მუშებს გატაცებით უყვართ თავიანთი ბელადი, უზომოდ ენდობიან მას და თავის ინტერესების დაცვას პარლამენტში მხოლოდ მას და ირლანდიელ ნაციონალისტებს ანდობენ. და არც აგებენ. ირლანდიელები, ბერნსი და რამდენიმე რადიკალი მედგრად იცავენ მუშების ინტერესებს და იშვიათად თუ აგებენ იმათ სასარგებლოდ დაწყებულ საქმეს.

მ. ა.

ცოტა ხანში ამ პარტიამ გადასწყვიტა რამდენისამე ადმინისტრატორის მოკვლა. მათ შორის ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე დეიტრიხიც იყო. ფინლიანდიის სასამართლომ განიხილა საქმე რეინიკისა, რომელსაც ვიბორგის გუბერნატორის მოკვლა ბრალდებოდა და მკვლელი თითქმის გაამართლა, გუბერნატორი კი გაამტყუნა. იმ დროს, როცა სასამართლომ პროკურორის მკვლელს ხიხენტალს 20 წლით კატორღა გადაუწყვიტა, ხოხენტელმა შუბლიც არ შეიკრა, ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო და თავს უკრავდა აუარებელ ხალხს, რომელიც მას პატრიოტულ სიმღერებს უმღეროდა და წითელ ხელსახოცებს უქნევდა. პოლიცმეისტერმა დარაჯებს უბრძანა, ფანჯარა დაკეტეთ და ხოხენტალი წაიყვანეთო, მაგრამ იმათ ეს ბრძანება არ შეასრულეს. სწორედ ამ დღეს, სამის საათის შემდეგ, ყუმბარამ იფეთქა და ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე სასიკვდილოდ დასჭრა (პრ. კრ.).

✦ ფინლიანდიის გენერალ-გუბ. თანაშემწის დეიტრიხის დაჭრის შესახებ „ფინ. გაზ." იუწყება: ყუმბარის მსროლელი ჯერ ვერ აღმოაჩინეს. ორმა რუსმა მსროლელი ქუჩაში ნახა. ის ვიღასაც უცდიდა და ხელში ქაღალდში გახვეული საგანი ეჭირა. მერე დაინახეს, რომ მან ეს საგანი შორს გადაისროლა და გაიქცა. ყუმბარამ ისე საშინლად დაიქუხა, რომ ირგვლივ სახლების ფანჯრები სულ მილეწ-მოლეწა. ორი რუსი უკან გამოედევნა, თანაც ხალხს უყვიროდნენ, დაიჭირეთ ეგ კაციო, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. პირიქით, ხალხმა ამ კაცს უშველა კიდეც. იმ ქუჩაში, სადაც მკვლელმა შეუხვია, ხალხი შეიკრიბა, ქუჩა გაივსო და დევნის ნება არავის მისცა (პრ. კრ.).

ზუგდიდისა და სენაკის მაზრების სამღვდელოთა კრება

12 ივლისს, იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის ნება დართვით, ბლაღოჩინები და სამეგრელოს სასულიერო-სამოსწავლო ოლქის სამღვდელოების დეპუტატები დ. ახალ-სენაკში შეიყარნენ გამოსარკვევად სხვადასხვა საკითხებისა, რომელიც შეეხება ეკლესიის დღევანდელ ცხოვრებას, სამეგრელოს საეკლესიო სკოლებს და სხვადასხვა საგნებს. კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ბლაღოჩინი ქ. გაწერელია. კრებამ დადგინა იშუამდგომლოს: 1) საქართველოს დაარსდეს ეპარქიების წარმომადგენლებთან ერთად ეკლესიის გამგეობა შეიცვალოს საეკლესიო კანონებისა და იმის მიხედვით, თუ წარმომადგენელთა უმრავლესობა რა წეს-რიგს აირჩევს, და ეს მათი გადაწყვეტილება აღსასრულებლად სახალხოდ გამოცხადდეს, 2) დღევანდელ სასულიერო სკოლების მაგივრად დაარსდეს ეროვნული სკოლები, რომელიც შეეფერება დღევანდელ დროს და პედაგოგიურ მოთხოვნილებას; 3) განთავისუფლდეს სამღვდელოება მრევლთან მატერიალურ დამოკიდებულებისაგან და დაენიშნოს მას ჯამაგირი ხაზინისაგან; 4) ნება მიეცეს სამღვდელოებას ყველას ერთად, ან მის-მიერ არჩეულებს, დაესწრონ და დაიცვან მთელის საქართველოს ეკლესიის ინტერესები ყველა კრებებზე, რომელიც შეიძლება შესდგეს ქუთაისსა, ტფილისსა, პეტერბურგს, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში, 5) აღიძრას შუამდგომლობა სათანადო მთავრობასთან, რომ ნება-დართულ იქმნას ქართულ ენაზე საქართველოსთვის ერთის საეკლესიო ორგანოს გამოცემა.

შემდეგ სამღვდელოებამ, სცნო რა, რომ ახლანდელ საეკლესიო სკოლებში აფერხებენ მოწაფეთა გონებრივსა, ზნეობრივსა და ფიზიკურ აღზრდას, და მიიღო რა მხედველობაში, რომ ნამესტნიკმა ოფიციალური განკარგულება მოახდინა, პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლა დედა-ენაზე სწარმოებდესო, დაადგინა, სთხოვოს იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდს, მიჰმართოს კავკასიის ნამესტნიკს და გაიგოს, ეს ზემოხსენებული განკარგულება საეკლესიო სკოლებსაც ეხება თუ არა და, თუ არ ეხება, დაიხუროს სამეგრელოს საეკლესიო ყველა სკოლები, სანამ სკოლებში დედა-ენაზე სწავლის ნება-რთვა არ გამოვა. შემდეგ კრებამ დაადგინა, დაიხუროს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი, სანამ სკოლები ეროვნულ და პედაგოგიურ ნიადაგზე არ დადგება, და მოესპოთ ამ სკოლის მოსამსახურეთ ჯამაგირები. ამასთან კრებამ საჭიროდ სცნო, სთხოვოს უსამღვ. ლეონიდს, ამ სასწავლებლის შესანახად სამღვდელოების ჯამაგირიდან დაჭრილი ფული უკანვე დაუბრუნდეთ, რადგან გლეხთა მოძრაობის გამო არავითარი შემოსავალი არა აქვთ და მარტო ხაზინიდან დანიშნულ ჯამაგირებზე არიან.

ამას გარდა, კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილებანი: 1) 1906 წლიდან ბლაღოჩინები სამღვდელოების-მიერ 3 წლით ფარულის კენჭის-ყრით ირჩეოდნენ, 2) ნება მიეცეთ მედავითნეებს, სასულიერო-სამოსწავლო და ეპარქიალურ კრებებზე დასასწრებლად აირჩიონ დეპუტატები, ისე რომ, სამ დეპუტატ-მღვდელთან ერთი მედავითნე-დეპუტატი იყვეს და იმასაც იგივე ხმა ჰქონდეს, რაც მღვდელს; 3) გამოეცხადოს მადლობა მთელის სამღვდელოებისა ნ. დურნოვოს, პროფესორს მარრის და გაზეთ „რაზსვეტ"-ისა და „რუს"-ის რედაქციებს, რადგანაც ისინი გამოესარჩლნენ ქართულ ეკლესიასა, ქართველ ხალხსა და სამღვდელოებას; 4) დღეის რიცხვიდან ყოველი ქაღალდი და მიწერ-მოწერა სწარმოებდეს უთუოდ ქართულ ენაზე. ვინც ამ დადგენილებას გადაუხვევს, საამხანაგო სასამართლოში იქმნას გასამართლებული. 6) ნება მიეცეს სამღვდელოებას, რომელი წიგნებიცა და გაზეთებიც უნდა, ის გამოიწეროს, 7) გამოეცხადოს უღრმესი თანაგრძნობა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოებას, რომელიც 31 მაისს თვითნებობისა და ძალმომრეობის მსხვერპლი გახდა.

კრებას ბჭობა ჰქონდა აგრეთვე სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ნარბეკოვის მოღვაწეობის შესახებ. კრებამ აღნიშნა ზოგიერთი საზიზღობა, რომელიც ნარბეკოვს სასწავლებელში ჩაუდენია, და ერთხმად დაადგინა: სამეგრელოს სამღვდელოების სახელით ნარბეკოვს გამოეცხადოს გაკიცხვა და აღშფოთება და ეთხოვოს უსამღვ. ლეონიდს, მიიღოს რაიმე საშუალება და ნარბეკოვი როგორმე სასწავლებლიდან გააძევოს. დასასრულ, კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა, სამეგრელოს სამღვდელოება უერთდება სამშობლოს ყველა მეგობრებს და მათთან ერთად თხოულობს, რუსეთის ხალხის დასამშვიდებლად დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარულის კენჭის ყრით, აღიარებულ იქმნას თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა და კავშირებისა და ეკლესიის მოსამსახურენი განთავისუფლებულ იქმნენ პოლიტიკურ სამსახურიდან.

კორესპონდენცია

სიღნაღი. 11 ივლისს ჩვენს ქალაქს ეწვივნენ გენერალ-ადიუტანტი თ. ზ. ჭავჭავაძე და გენერალ-მაიორი სტახოვიჩი. როგორც მოგეხსენებათ, ამათ უნდა დაიარონ ქიზიყისა და კახეთის სოფლები და დაამშვიდონ გლეხობა. ესენი საღამოს ხანს მოვიდნენ. ამ დღეს იმის მეტი ვერა მოასწრეს-რა, რომ მიიღეს ქალაქის წარმომადგენლები და ჩინოვნიკები. ქალაქის მოურავს ჰკითხეს სიღნაღის ამბები, მისი გაჭირვებანი. სიღნაღის მოურავმა მიუგო, რომ ქალაქი სრულ კმაყოფილებაშია, არავითარი ნაკლი და საზრუნავი მას არა აქვს-რა. ქალაქში სრული მშვიდობიანობა და სიწყნარეა, ხალხი, მოქალაქენი, სრული კმაყოფილნი არიან ყოველის მხრივ არსებულ წესწყობილებისა და მე, მოურავს, ნება არა მაქვს რაიმე თხოვნით შეგაწუხოთო.

მუნდირებში და ჯვარ-მენდლებში გამოწყობილმა ჩინოვნიკებმაც დაარწმუნეს თავადი, რომ ამათაც არავითარი გასაჭირი არა აქვთ.

12 ივლისს წმ. ნინოს მონასტერში შეკრიბეს ნახევარი ქიზიყის სოფლებისა. იქ უნდა ენახა თავადს ხალხი. თავადმა ჭავჭავაძემ წირვა მოისმინა და გამოვიდა ხალხში. აქ მღვდლებმა პურ-მარილი მიართვეს და თხოვნა მისცეს, რომელშიაც ჩივიან მამულის სიცოტავეზე, ითხოვენ მიწების მომატებას და იარაღის დარიგებას.

შემდეგ ამისა რუსულად და ქართულად ხალხს წაუკითხეს ნამესტნიკის განცხადება. საზოგადო აზრი მისი ის არის, რომ მოუწოდებს გლეხკაცობას, არ დაარღვიონ უფლებანი კერძო მესაკუთრესი და გლეხებს ზოგიერთს რეფორმებს აღუთქვამს. შემდეგ თ. ჭავჭავაძემ ჰკითხა ხალხს, ხომ არა გაქვთ-რა სათქმელი შესახებ თქვენის არსებითის საჭიროებისაო.

ხალხიდან წარმოსდგა ერთი ორატორი და მოახსენა შემდეგი: ჩვენს ქიზიყს, თავადო, მაჯლაჯუნასავით დასწოლია ერთი სენი და აღრჩობს მას. ეს გახლავთ ჩვენი საერთო, საზოგადო მფლობელობა მამულისა. ერთ დროს, ბატონო, ძალიან ძველს და უწინდელს დროს, მთელს კაცობრიობას ჰქონდა ასეთი წესი მიწის მფლობელობისა, მაგრამ ჟამთა ვითარებას ყველგან იგი წესი შეუცვლია კერძო საკუთრებაზე. საერთო მფლობელობაო! — ეს არის ფიქცია. ჩვენში საერთო მფლობელობა კი არ არის, არამედ არის მფლობელობა და ბატონობა მდიდრებისა და დაჩაგრულობა ღარიბებისა. ან რა მიზეზია, რომ დღეს ყველას: თავადს, აზნაურს, მოქალაქეს, სამღვდელოებას, — აქვს თავისი განსაზღვრული მამული, იცის თავისი მიჯნები, შეუძლიან ისარგებლოს თავისის მამულით სურვილისამებრ, და მხოლოდ გლეხს არა აქვს ასეთი უფლება? მისი მამული უნდა იყოს უთუოდ არეული საერთოში, უნდა დღე მუდამ დავიდარაბასა და ჩხუბში იყოს მამულის საზღვრებისა და რაოდენობის გამო, არ შეეძლოს თავისი მამული არც გაყიდოს, არც დააგირაოს. ამას დაუმატეთ „საგლეხო" სასამართლო და სხვა „სამეჯიკო" დაწესებულებანი, და თქვენ დაინახავთ, რომ დღეს გლეხი დაჩაგრულია, არ არის კაცთა შორის კაცად აღიარებული. ჩვენ ვთხოულობთ ჩვენის თავის ადამიანებად აღიარებას. არ არის საჭირო ჩვენთვის არავითარი „საკუთარი" კანონი, გაგვაერთეთ სხვა წოდებებთან და მოსპეთ სიტყვა „გლეხი".

ორატორს კიდევ ბევრი ჰქონდა სათქმელი, მაგრამ თ. ჭავჭავაძემ სიტყვა გააწყვეტინა და თავის მხრივ დაუწყო დამტკიცება, რომ თემობა და საერთო მფლობელობა ბევრით სჯობია კერძო მფლობელობასაო.

უთხრეს ორიოდე სიტყვა ხარჯებისა და გადასახადების უდიერობაზე, უტეხობაზე. ამით დასრულდა საუბარი. გლეხკაცობას ეტყობოდა გულჩათხრობილობა და უგულობა.

იმავე დღეს თავადი წავიდა თავის ამალით სოფ. ანაგაში, სადაც ელოდებოდა მეორე ნახევარი ქიზიყელებისა. ანაგაშიაც იმავე წესით ჯერ იქმნა წაკითხული რუსულ-ქართულად ნამესტნიკის განცხადება, შემდეგ შეუდგნენ საუბარს. აქ საუბარმა მიიღო მომეტებული გაცხოველება და ინტერესი. ამის მიზეზი იყო ანაგის ახალ მამასახლისის პეტრე დარჩაშვილის ენა-წყლიანობა და გაბედულობა.

ანაგის მამასახლისმა განაცხადა: „ჩვენის შეწუხებით, თავადო, ქვანიც-კი სტირიან. ჩვენი ცხოვრება არის ერთი დაუსრულებელი დავა და სისხლის ღვრა მამულებისათვის. რათა და რისთვის? ჩვენ ისეთი რა დავაშავეთ, რომ ყველამ ჩვენ-ჩვენი ხვედრი მამული არ ვიცით. აგერ, ამას წინად, მამულის დავაზე ორი კაცი წუთი-სოფელს გამოესალმა. ჩვენ გახდით ხარჯს ექვსი ათასის დესეტინისას და ოთხი ათასისაც არ გვიჭირავს. ნურას უკადრავად, თავადო, და ჩემი საზოგადოება გადაჭრით აცხადებს, რომ ხარჯებს არ გაიწერს, ვიდრე კომლეურად ჩვენ-ჩვენს ხვედრს მამულს არ ჩაგვაბარებთო. დაგვირიგეთ კომლეურად მამული, რომ ყველამ თავისი იცოდეს, და ხარჯსაც ყველა დიდის სიამოვნებით გადაიხდისო.

მოგვაშორეთ ხარჯები არყის გამოხდაზე. სალდათს ნუ გვიგზავნით რუსეთში, საიდანაც ნახევარი აღარ გვიბრუნდება; გამოიყვანეთ კახეთის რკინის გზა; მოგვაშორეთ საქონლის ქძმები; მოგვაშორეთ თარჯიმანები, რომლებმაც დაღუპეს ჩვენი ქვეყანა; იმას რა სჯობია, თავადო, რომ ყველა ჩვენს მმართველს აი, ასე, როგორც თქვენ, ჩვენებურად, ქართულად, ველაპარაკოთ და შუაში გაუთლელი მოენე არ იყოს აუცდებულიო".

თავადი ჭავჭავაძე დაჰპირდა, რომ ყოველს თქვენს თხოვნას ნამესტნიკს გადავცემო.

შემდეგ თავადი წავიდა სოფ. ბაკურციხეს, სადაც 13 ივლისს შეერილიყო მრავალი დროებით-ვალდებული გლეხობა. აქაც იმავე წესით ესაუბრნენ ხალხს. გლეხობამ განაცხადა: ჩვენ მტაცებლები და კერძო მფლობელობის ხელშემხებელნი არ გახლავართო.

გლეხები რომ დაიშალნენ, თავ. ჭავჭავაძემ საკუთრივ თავადებთან ითათბირა. ამათ უთხრა: „უმაწვილებო, ხელმწიფის მოადგილემ გთხოვათ, რომ თქვენც თქვენის მხრივ ლმობიერად მოექცეთ გლეხებს და არ გაამწვავოთ ხოლმე ურთიერთ-შორის დამოკიდებულებაო".

შემდეგ თავადებმა მოახსენეს თავიანთი დარდები და, სხვათა შორის, ითხოვეს იარაღის დარიგება. ითხოვეს გამიჯვნის საქმის აჩქარებაც.

დასასრულ, მაზრის მარშალმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა მიჰმართა თავ. ჭავჭავაძეს და გენერალ სტახოვიჩს შემდეგის სიტყვით: თავადო ზაქარია და თქვენო აღმატებულებავ! სიღნაღის თავად-აზნაურთა მხრივ გთხოვთ გარდასცეთ უღრმესი მადლობა მათს ბრწყინვალებას, ნამესტნიკს, იმ თანაგრძნობისა და მზრუნველობისათვის, რომელიც მან გამოიჩინა ჩვენდამი. გვჯერა, რომ ყოველივე მისი დაპირება შესახებ ერობისა, სკოლებისა, ხარჯების შემოკლებისა ძალიან მალე სიტყვიდან საქმედ გარდაიქცევა. დიდად გმადლობთ თქვენც, რომ მიიღეთ შრომა და აუწყეთ ხალხს სურვილები და განზრახვანი მისნი.

ხოლო, ვსარგებლობ რა შემთხვევით თქვენთან პირის-პირ საუბრისა, არ შემიძლიან არ მივაქციო თქვენი ყურადღება შემდეგს სამს საჭირ-ბოროტო საგანზე, რომელთა დაკმაყოფილებაც ძალიან დააწინაურებს კულტურულად ჩვენს მაზრას. უპირველესად ჩვენ გვინდა ერთი საშუალო სასწავლებელი ჩვენს მაზრაში. დღევანდელ პირობებში ჩვენ მოკლებულნი ვართ საშუალებას ვაძლიოთ ჩვენს შვილებს სწავლა შორს მყოფ ტფილისის სასწავლებლებში. ჩვენ ვერ ვუწევთ ამ მხრივ კონკურენციას ტფილისის მოქალაქეთ და აკი ამიტომაც არის, რომ ტფილისის გიმნაზიები სავსეა მოქალაქეთა შვილებით. თუ სრული გიმნაზია არა, პროგიმნაზიული კლასები მაინც დაგვიარსეთ, რომ ადგილობრივ შესაძლებელი იყოს ბავშვების მომზადება.

მეორე დარდი ჩვენი ის არის, რომ ყოველისავე ჩვენის მეურნეობის ნაწარმოები ჩალის ფასად იყიდება ურკინის გზობის გამო. დაახლოვება და გაადვილება ჩვენთა ნაწარმოებთა ტფილისისა და რუსეთის ბაზართან დასდებდა ფასს ჩვენს საქონელს და მაშინ ჩვენი შრომაც არ იქნებოდა ისეთი უნაყოფო, როგორც დღესაა. ჩქარა რკინის გზა! — აი, დარდი ჩვენის მაზრისა.

მესამე ჩვენი დარდი არის იაფ ფასიან სესხის უქონლობა. ათასის თუმნის საქონელი რომ ჰქონდეს სოფლის მეურნეს, ათას კაპეიკის სესხს ვერ იშოვნის ბანკებში. ავიღოთ, მაგალითად, მეთამბაქოები. ამათ ჩააქვთ თამბაქო ტფილისში და აწყობენ კერძო მოვაჭრეებთან. ეს უკანასკნელნი მიდიან და ბანკებიდან ექვს პროცენტიანი სესხი გამოაქვთ ჩვენის თამბაქოს ანაზღაურებით ანუ დაგირავებით. იმ ფულს გვაძლევენ სესხად ჩვენ და შუაში დიდ ფულს იგებენ. განა ეს სამართლიანობასა ჰგავს? ეს მხოლოდ ერთი მაგალითი მოგახსენეთ. ყოველი მეურნე ათასობით ჩამოსთვლის მაგალითებს, როდესაც, ხელმოკლეობისა და კრედიტის უქონლობის გამო, იძულებული გამხდარა, ჩალის ფასად გადაეყარა თავისი თამბაქო, მატყლი, ყველი, ღვინო, პური და სხვები.

ყოველივე ეს, თავადო, თქვენც, რასაკვირველია, როგორც ჩვენის ქვეყნის შვილს, კარგად მოგეხსენებათ. აქ მე მხოლოდ გაგახსენეთ, რომ ამ საგნებზე ნამესტნიკთან თათბირი იქონიოთო.

გენერალ-მაიორმა სტახოვიჩმა ჩაიწერა თ. ჩოლოყაშვილის ნალაპარაკევი დავთარში და აღუთქვა, რომ ყოველსავე აქ წამოყენებულ საკითხს მიექცევა ჯეროვანი ყურადღება.

მიხეილ ნასიძე.

კახეთი, 15 ივლისი. კარგა ხანია, კახეთზე არაფერი თქმულა, თითქოს მისი მაჯის ცემა შეწყდარიყოს. პირიქით, კახეთი ყოვლის ამტანი და მომთმენი აღარ არის.

წარსულ გაზაფხულზე გლეხთა მოძრაობამ კახეთიც მოიცვა. სოფლის ხალხი შინ ტრიალებდა, ჰქონდა სჯა-ბაასი თავის საჭირ-ვარამო კითხვებზე, ადგენდნენ მოთხოვნილებებს, განახლებულ ცხოვრებას მიჰყვეს ხელი, ძმობა-ერთობა შემოიღეს, ტყეში შევიდნენ, მიწები დახნეს, მოხელეებიც დაითხოვეს და საქმე მიწყნარდა.

დადგა ზაფხული. გლეხისთვის დრო ოქროა. ბევრი საქმე აქვს და მთელი სოფელი სახლიდან წავიდ-წამოვიდა სამუშაოდ. ზოგს კი ეგონა, მორჩა, გლეხთა მოძრაობა მოისპო, რადგან ზოგ სოფელში კაზაკები ჩაუყენესო... მოძრაობა ღრმად დაითესა და მისი ამოფხვრა შეუძლებელია, ვიდრე ცხოვრების პირობები არ შეიცვლება.

აი, ახლაც აქა-იქ იჩინა თავი მოძრაობამ ს. ზემო ხოდაშენში, ახატელში, ლალისყურში და სხვაგან ნათხალის შესახებ, რომელსაც ჩვეულებრივ თავადიშვილები იღებენ ხოლმე მიწის ღალად. რა იქნება სხვა სოფელში, ამასაც მალე დავინახავთ.

4 ივლისს ს. ახატლის მცხოვრებნი მაზრის უფროსთან ყოფილიყვნენ. ერთმა მათგანმა შემოჩივლა: „ამ 8—10 წლის წინად ჩვენის უცოდინარეობით ისარგებლეს და სოფლის მიწები ადგილობრივ თავადიშვილებმა დაიჭირეს. ხარჯს კი დღესაც ჩვენ ვიხდით. ამის გულისთვის ბევრჯერ მარჩენალი საქონელი გაგვიყიდია. ახლა-კი მიწის ღალას გვართმევენო". მაზრის უფროსს ეთქვა: თავადიშვილებს ნუ შეეხებით, და თუ მიწაში ხარჯს გართმევენ და თქვენია, ნამესტნიკთან თხოვნა გაჰგზავნეთო.

გლეხთა მოძრაობის დროს თითქმის ყველა სოფელმა მედგრად მოითხოვა, ყველა სოფელს ცალკე მოხელეები გვყავდესო.

მგონი 1900 წლიდან მთელის მაზრის 33 საზოგადოება 13 გაჰყვეს და მამასახლისები და მოხელეები ასე ამოარჩვინეს. უვარგისი გამოდგა ეს გაყოფა, ხარჯი მეტი ჰხდებოდათ და საქმით არა გაკეთებულა-რა. ამ დღიდან დაიწყეს თხოვნა-მუდარა, ისევ ცალ-ცალკე მოხელეები ამოგვარჩიეთო, მაგრამ მათი თხოვნა ყოველთვის შეუწყნარებელი რჩებოდა.

ამისთვის ახალ მამასახლისების არჩევნებზე უარი სთქვეს. ამჟამად სოფლებში სოფლის მოხელეთა არჩევანი სწარმოებს ისე, როგორც ხალხმა მოითხოვა—ცალ-ცალკე.

ამ ბოლო დროს ბოროტ-მოქმედებამ ისევ იჩინა თავი. ს. ძველგავაზში შეიარაღებული ლეკები გზაში დაუხვდნენ მგზავრებს და გაძარცვეს, — ერთი კაციც მოჰკლეს. შეიარაღებულნი ბოროტ-მომქმედნი თავს დაეცნენ ტფილისისკენ მიმავალს დილიჟნებს და მგზავრები გაძარცვეს—ყველაფერი წაიღეს.

ს. ფშაველიდან იქაური გლეხ-კაცი მოდენილიყო თელავის ხაზინაში ფულის შესატანათ, მოჰქონებოდა 2,000 მანათი. ალაზნის აქეთ დაუხვდნენ ბოროტ-მომქმედნი, ფული წაართვეს, თვით გლეხი კი მოჰკლეს და მიწაში ჩაჰფლეს. ბოროტ-მომქმედნი ვერ აღმოაჩინეს.

ინკოგნიტო

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

20 ივლისი.

ტოკიო, 19 ივლისი (რეიტერი). გამოქვეყნებულია შემდეგი ოფიციალური მოხსენება: სახალინზე გადასხმულმა იაპონიის ლაშქარმა 15 ივლისს დაამარცხა რუსები რიკოვიდან 8 კილომეტრის მანძილზე სამხრეთით, ხოლო შემდეგ დაიპყრო პალეო. 1000-მდე რუსმა სამხრეთად დაიწია. სახალინზე მყოფ იაპონელთა ჯარების სარდალმა კუნძულზე სამოქალაქო მართვა-გამგეობა შემოიღო 17 ივლისს.

ლონდონი, 19 ივლისი. იაპონიის საელჩო ირწმუნება, სახალინზე სამოქალაქო კი არა, სამხედრო მართვა-გამგეობაა შემოღებულიო.

გუნჯულინი, 19 ივლისი. ჯერ ისევ სრული სიწყნარეა. მხოლოდ კორეასა და სახალინზეა იაპონელთა გაცხარებული მოქმედება. ალბად, ამით სურთ რუსთა საბოლოოდ დამარცხება ზავზე მოლაპარაკების დაწყებამდე. ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ იაპონელნი ისეთ რასმე მოითხოვენ, რის შეწყნარებაც რუსეთს არას გზით არ შეეძლებაო. იაპონიასაც ეს უნდა: თუ რუსეთი მისს მოთხოვნილებას სავსებით არ დააკმაყოფილებს, მაშინ ყოველისავე პასუხისგებას მომავალში მოქმედებისათვის რუსეთს მოახვევს თავს და თვითონ კი ხელს დაიბანს პასუხისგებისაგან. ამბობენ, სწორედ ამ აზრით დაიწყეს ზავზე მოლაპარაკება იაპონელებმაო.

ნაგასაკი, 19 ივლისი. ალისა რუზველტი და სამხედრო მინისტრი ტაფტი მანილას გაემართნენ.

კოპენჰაგენი, 19 ივლისი. (რეიტერი). იმპერატორი ვილჰელმი, მეფე ქრისტიანი, კრონ-პრინცი და სამეფო სახლობის სხვა წევრნი ერმიტაჟში იყვნენ სასეირნოდ. შემდეგ ბერნსტორფის ციხე-დარბაზში დაბრუნდნენ.

ტანჟერი, 19 ივლისი (ჰავასი). შეერთებულმა შტატებმა აცნობა მაროკოს სულთანს,—მაროკოს საქმის თაობაზე თუ კონფერენციას მოიწვევთ, შეერთებული შტატებიც მიიღებს მონაწილეობასო.

სტამბოლი, 19 ივლისი. ჯერაც ვერ აღმოაჩინეს ის კაცი, რომელსაც ხონთქარის მოკვლა უნდოდა.

ბაზელი, 19 ივლ. ებრაელთა საახალშენო ბანკის დღევანდელს კრებაზე, თანახმად კონგრესის დადგენილებისა, საბოლოოდ გადასწყვიტეს წესდების შეცვლა, რომლის ძალითაც ებრაელთა დასახლება უნდა მოჰხდეს მხოლოდ პალესტინასა და მისს ახლო-მახლო მდებარე მხარეებში.

ვლადივოსტოკი, 19 ივლ. ამ დღეებში ბლაგოვეშჩენსკში გადასახლდნენ სოფელ ბოჩაროვის მკვიდრნი. ორი მატარებელი სავსე იყო. მიზეზი ისაა, რომ ყოველ წელს, ჯერ ერთი, წყალდიდობაა და, მეორეც—ამ მხარეში თავისუფალი მიწები ნაკლებადაა.

ხარკოვი, 19 ივლ. გუბერნიაში ბევრ ადგას ცეცხლი გააჩინეს. სოფელ ბარანოვკაში გადაიბუგა ასზე მეტი შენობა; ამასთან დაიწვა დიდძალი ხორბლეული, თივა და ოთხ-ფეხი საქონელი. სოფელ ბირკოვსკში ცეცხლმა გაანადგურა 230 შენობა.

სტამბოლი, 19 ივლისი. სრულიად უშედეგოდ გათავდა ის ვადა, რომელიც კრიტის მეამბოხეთ დაუდეს იარაღის დასაყრელად. 18 ივლისს ოთხმა მთავარმა კონსულმა ომიანობის წესები გამოაცხადა.

ლონდონი, 19 ივლისი. გუშინ მთავრობამ ქვემო პალატაში ორჯერ მომხდარის კენჭის ყრის დროს ხმის უმეტესობა მიიღო—104 ხმა 101 წინააღმდეგ. ოპოზიციიდან კრებას ნაკლებად დაესწრნენ. საღამოს კრებაზე კი, სამაგიეროდ, ბლომად გამოცხადდნენ ოპოზიციის წევრნი, ალბად იმიტომ, რომ უნდოდათ კონსერვატორთა გადამეტებული ერთგულება აელაგმათ. თუმცა საერო განათლების საქმისათვის საჭირო ფულის გადადებას უარყეს კენჭი, მაგრამ მაინც მთავრობამ მხოლოდ 30 ხმა მიიღო მეტი.

ლონდონი, 20 ივლისი. საღამოს გაზეთები იუწყებიან ცნობებს იმის შესახებ, რასაც რუსეთზე მისვლა და თავდასხმა ეწოდება. ამბობენ, ბუტმა უკვე გაჰგზავნა პეტერბურგში ერთი თავისი ოფიცერთაგანი იმისთვის, რომ მოახერხოს როგორმე და დააწესებინოს დაღუპვისაგან დამხსნელი მხედრობა რუსეთში, სადაც ამნაირი ორგანიზაცია დღემდე აკრძალული იყო. ამჟამად, სარწმუნოების თავისუფლების დამყარების შემდეგ, რაც უკვე დიდის ხნიდან არსებობდა ფინლიანდიაში, როგორც ისმის, შესაძლოდ მიაჩნიათ, რომ დაღუპვისაგან დამხსნელი მხედრობა რუსეთშიაც დააწესონ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ არ იხმარონ წითელი დროშები, რომელიც სიმბოლოა ამ ორგანიზაციისა.

პეტერბურგი. როგორც „ვესტნიკ იუგა" იუწყება, საერო განათლების სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ მასწავლებლებს მხოლოდ მაშინ შეუძლიან ფასით ასწავლონ გაკვეთილები იმ სასწავლებლის მოწაფეებს, სადაც თვითონ მასწავლებლებად არიან, თუ სათანადო სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვას აიღებენო.

კიშინიოვი, 20 ივლისი. გუბერნატორმა გადაჭრათ მოსთხოვა პოლიცმეისტერს,—ბეჯითი და სასტიკი ღონისძიებანი მიიღეთ ქალაქში მოხეტიალე იმ მაწანწალა, ქურდ და სხვა და სხვა დამნაშავეთა წინააღმდეგ, რომელნიც ამ ბოლოს დროს „ხულიგანებისა", „ცისფერ ხალათიანებისა" და „შავის რაზმის" სახელებით მონათლესო.

პარიზი, 19 ივლისი. გაზეთ „პატრიე"-ში დაბეჭდილი ცნობა, ვითომ რუსეთის კონსულმა ზარინმა ლატარიაში 1 მილიონი ფრანკი მოიგოო, ტყუილია.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ივლისი.

სამ-თვიან თამასუქების კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	39,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,72½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	85⅛
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½ შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	80½
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	409½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	308½
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	266½
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	208
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	—

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

განცხადებანი

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის" რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მესამე)
ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1. ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2. საზოგადო სავაჭროსა, 3. ბანკისას, 4. კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსია), 5. ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6. არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7. კომერციულ კორესპონდენციასა, 8. ვაჭრობის ისტორიასა, 9. ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.
(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).
სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.
ადრესი: ტფილისი, ალ. გ. საათაშვილს, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირაუქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.
მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.
ვამზადებ ზეიო-ალინიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.
პროგრამა კურსებისა მსურველთ უფასოდ ეძლევათ და ეგზავნებათ.
(15—7) ალ. გ. საათაშვილი.

საინტერესო და საყურადღებო ახალი რომანი
„ცხოვრება და სიყვარული"
წიგნი დიდი ზომისაა, დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი. შეიცავს 320 გვერდს და გაგზავნით ღირს მხოლოდ ორ აბაზად. იქავე ისყიდება „ლექსები და პოემები" და მოთხრობა თანამედროვე ცხოვრებიდან „ვარინკას ამბავი". თითო წიგნი შეიცავს ას გვერდზე მეტს და გაგზავნით ღირს მხოლოდ თითო აბაზად. გამოწერა შეიძლება მარკებითაც. მსურველთ მიმართონ სადგურ მიხაილოვში, ბათუმისკენ რკინის გზის ბილეთების გამყიდავ კასირს ჩარხიშვილს. Ст. Мих. кассиру Чархишвили.
(5—5)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 20 іюля 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.